კვირა 1919 წ. თებერვლის 2 №25

წლიწადი მეხუთე

კვირა 1919 წ. თებერვლის 2 № 25

ფასი თბილისში პროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

**რედაქცია ღიაა** დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

**კონტორა**

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1¹/₂ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15--73

კვირას, 2 თებერვალს (ახალი სტილით) 11 საათზე დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

**დიმიტრი როსტომის ძე მელაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, მეუღლე მარიამ პავლეს ასული, შვილები: თამარ, შერი, მიტო, ემა; ცოლის დაი ბაბილინა პავლეს ასული ჯორჯიკიასი და ცოლის ძმები დათიკო და ჯვებე იოსელიანები. 1—2073—1

გულ მოკლულნი მეუღლე ბარბარე (ვარო) კონსტანტინეს ასული, კნეინა ვაჩნაძისა. სიმამრი და სიდედრი კონსტანტინე სოლომონის ძე და მარიამ ალექსანდრეს ასული ბახუტაშვილები და მეუღლის მამიდა ქეთევან სოლომონის ასული ბახუტაშვილისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ მათთვის ძვირფასს და დაუვიწყარს მასწავლებლის

**კონსტანტინე დავითის ძის ვაჩნაძის**

უდროვოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 2 თებერვალს. მცხედარს გამოასვენებენ დილის 9 საათზე ნიკოლოზის ქუჩა № 84. წირვა და დაკრძალვა დიდუბის ეკლესიაში.

სოფიო და თინათინა თუმანიშვილები, სოფიო და ივანე ვაჩნაძეები, ელენე, შალვა, ოლღა და ვასილ ფალავანდიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს თავიანთი ბიძაშვილის

**კონსტანტინე დავითის ძე**

**ვაჩნაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 2 თებერვალს. გვამს გამოასვენებენ დილის 9 საათზედ ნიკოლოზის ქუჩა 84. წირვა და დასაფლავება დიდუბის ეკლესიაში. 1—2074—1

გარდაიცვალა

**კონსტანტინე დავითის ძე ვაჩნაძე**

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და მეგობართ განსვენებულის თანამოსამსახურე ამხანაგები, თბილისის რკინის გზის უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის მასწავლებელნი.

გამოსვენება 9 საათზე საკუთარ ბინიდან ნიკოლოზის ქ. № 84 დიდუბის ეკლესიაში, დაკრძალვა ეკლესიის ეზოში 9 ს.

პავლე ალექსის ძე კობახიძე მეუღლით მარიამ სერგოს ასულით და შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი პირველისა ცოლის ძმა, მეორისა ძმა და უკანასკნელთა ბიძა

**კონსტანტინე სერგოს ძე**

**მარქაროვი.**

პანაშვიდები ყოველ დღე სღ. 5 საათიდან. წირვას მოასმენინებენ სამშაბათს, 4 თებერვალს, ნორაშენის ეკლესიაში. ცხედარს გამოასვენებენ ბაგრატიონის ქუჩიდან 24, დილის 10 ს. დაკრძალვა ხოჯევანქის სასაფლაოზე. (1—2071—1)

პოლკოვნიკი ივანე იოსების ძე მირიმანოვი და მეუღლე მისი ნინო ბარონ თედორე კლეისტის ასული შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი ძვირფასი დედის და მეორე დედამთილის

**ანნა ივანეს ასულის**

**მირიმანოვის**

გარდაცვალებას 30 ამა იანვარს. ცხედარს გამოასვენებენ დღეს, 2 თებერვალს, დილის 10 საათზე, მიცვალებულის ბინიდან, სოლომონის ქ. № 8, ვანქის ტაძარში. დაკრძალვა მოხდება ხოჯივანქის სასაფლაოზე. (1—2069—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე თებრონია სოლომონის ასული, შვილები არჩილი კონსტანტინეს ძე, ნინა კონსტანტინეს ასული ამიროვისა, მარგარიტა კონსტანტინეს ასული, ელენე და ნიკოლოზი შვილებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობ და მეგობარ ამხანაგთ, რომ კვირას, პირველ თებერვალს ქ. დუშეთში იქნება გადახდილი ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი პირველისა საყვარელი მეუღლე, მეორებისა საყვარელი დაუვიწყარი მამა და უკანასკნელისა დაუვიწყარი სიმამრი

**კონსტანტინე მაქსიმეს ძე მძინარაშვილისა**

2—2068—2

## ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

# „საქართველო"

**1919 წ. წლიწადი მეხუთე 1919 წ.**

**გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.**

## თბილისის ქალაქის გამგეობისაგან

ხმოსანთა არჩევნების გამო.

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნები მოხდება 1919 წლ. 2 თებერვალს დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე—შემდეგ ადგილებში:

**1 კომისარიატში.**

1 საარჩევნო უბანი ქართულ უნივერსიტეტის შენობაში.
2 " " საბურთალოს თეატრში.
3 " " ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებელში, ოლღას ქ., ს. მაჩაბლისა, № 52
4 " " პირველ მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში.
5 " " სამიწადმზომ[ე]ლ სასწავლებელში, გუნიბის ქ.
6 " " მეოთხე ქალთა გიმნაზია, ანასტასიის ქ.

**2 კომისარიატში**

7 " " მინიატურის თეატრში, მელიქ-აზარიანცისა, ვერის დ.
8 " " არტისტიულ საზ. დარბაზში, გოლოვინის პრ.
9 " " ღარიბთა თავშესაფარში, ზუბალაშვილის სახლი, სასამართლოს ქ.
10 " " თბილისის საოლქო სასამართლოს შენობაში.

**3 კომისარიატში**

11 " " პირველ ქალთა გიმნაზიაში.
12 " " სამოქალაქო სასწავლებელში, ს. აფრიკიანისა.
13 " " სავაჭრო სასწავლებელში, სახლი მანთაშევისა.

**4 კომისარიატში**

14 " " სახელოსნო გამგეობაში.
15 " " მანთაშევის ქარვასლაში, სომხეთის ბაზარი № 62
16 " " სომხეთის საქველმოქმედო საზოგადოების დარბაზში, აბას-აბადის მოედ.

**5 კომისარიატში**

17 " მაჰმადიანთა აუდიტორიაში, ბოტანიკურ ქუჩაზედ.
18 " " პუშკინის საქალაქო სკოლაში, ვორონცოვის ქ.
19 " " ტოლლეს ქარხნის კანტორაში, ვორონცოვის ქ.

**6 კომისარიატში**

20 " " ნადეჟდინის თავშესაფარის შენობაში, რეიტერის ქ.
21 " " ქალაქის ახალ სასაკლაოს კონტორაში.
22 " " ძმ. ტ.-აზრამოვების ნავთის ამხ. კანტ., კახეთის ქ.
23 " " სამინისტროს სკოლაში, კახეთის ქ № 46.
24 " " მურაშკოს თეატრში, თელავის ქ.
25 " " ცარიელ დუქანში, კახეთის ქ., სადაც იმყოფებოდა მოსამსახურეთა ეკონ. საზ. განყოფილება.

**7 კომისარიატში**

26 " " არაკსიანის თეატრში.
27 " " ავლაბრის გიმნაზიაში.
28 " " ცარიელ მაღაზიაში, კუთხე ლაზარევისა და ხივის მეს. ს. მანუკოვისა № 57,
29 " " მარინეს საეკლესიო სკოლაში.
30 " " ავლაბრის კლუბის ზამთრის შენობაში, კახეთის ქ.

**8 კომისარიატში**

31 " " ალტმანის სახლში, კუთხე პროექტიროვანის და კახეთის ქ.ქ.
32 " " მალაკნების საზ. სკოლაში. დესიმონოვის მოედ.
33 " " მე-4 მომრიგ. სასამართლოს განყოფილებაში.
34 " " პირველ კომერ. სასწავლებელში, 19 თებერვლის ქ.

**9 კომისარიატში**

35 " " პეტრე დიდის სახელობის სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქ. № 29.
36 " " მუშათა კლუბში. ერთობის უბანი.
37 " " მესამე მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში, ტურგენევის ქუჩა.
38 " " კატოლიკურ საეკლესიო სკოლაში, ნიკოლოზის ქ.
39 " " სახელოსნო კლუბის შენობაში, მიხეილის პრ.

**10 კომისარიატში**

40 " " ავჭალის აუდიტორიაში
41 " " ენფენჯიანცის თამ. ქარხის კანტორაში, ვოგზლის ქ.
42 " " 2 ქართულ კლუბში (ყოფ. ხარფ. კლუბი) მიხეილის პრ.
43 " " ზუბალაშვილის სახალხო სახლი, კიროჩნი ქ.

**11 კომისარიატში**

44 " " საკვირაო სკოლაში, კუთხე ჩერქეზიშვილისა და პავლოვსკის ქუჩებისა.
45 " " სამოქ. სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქ., ს. ბოტტესი
46 " " ნაძალადევის თეატრში, ჩერქეზიშვილის ქ.
47 " " სასურსათო დუქანში ს. მეტეხელის.

**12 კომისარიატში**

48 " " რკინის გზის სამოქალაქო სასწავლებელში, შერემეტიევის ქუჩის მხრით.
49 " " ყოფ. საჯირითო მოედნის კანტორა
5„ " " ავჭალის წყალსადენი.

ამასთანავე ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ სიები საბოლოოდ შედგენილია და მათი განხილვა მსურველთ შეუძლიანთ 30, 31 იანვარს და 1 თებერვალს ცენტრალურ საარჩევნო ბიუროში (სომხის ბაზარი, № 62, მანტაშევის ქარვასლა).

**ქალაქის გამგეობა**

## საქართველოს

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სია თბილისის საქალაქო არჩევნებისათვის.

1. ნიკოლაძე ნიკო იაკობის ძე, პარლამენტის წევრი.
2. კედია სპირდონ მელხაზის ძე, პარლამენტის წევრი.
3. გვაზავა გიორგი ბეჟანის ძე, პარლამენტის წევრი.
4. აფხაზი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, პარლამენტის წევრი. (უპარტიო).
5. ახმეტელი ალექსანდრე ვასილის ძე. პარლამენტის წევრი. (რადიკალ დემოკრატი).
6. გოთუა პართენ ალექსანდრეს ძე, ქალაქის ხმოსანი. (ბანკის დირექტორი).
7. წვერავა ნიკოლოზ ესტატეს ძე, ქალაქის ხმოსანი.
8. ჯაყელი ნიკოლოზ იოსების ძე, მრეწველი.
9) ბერელაშვილი ვასილ გერასიმეს ძე, ქალაქის ხმოსანი.
10. ჯაბადარი ალექსანდრე გიორგის ძე, ვაჭართ. მრეწვ. კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. (უპარტიო).
11) ბერელაშვილი ადამ ზურაბის ძე, აგრანომი, კომერსანტი. (რადიკალ დემოკ.).
12. გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე, ნაფიცი ვექილი. (უპარტიო).
13. მეძმარიაშვილი კალისტრატე გითრგის ძე, კომერსანტი.
14. თელაკვაძე ნიკიტა დეკანოზი, საკათალიკოზო საბჭოს წევრი.
15. სულუხია მოსე ივლიანის ძე, ბანკის დირექტორი.
16. ძიძიშვილი ნოე სვიმონის ძე, ნაფიცი ვექილი.
17. გორდეზიანი გიორგი პავლეს ძე, ნაფიცი ვექილი.
18. კალანდაძე დავით იაგორის ძე, პროვიზორი.
19. ჟორდანია გიორგი თედორეს ძე, ნაფიცი ვექილი.
20. ვაჩნაძე ლევან ალექსანდრეს ძე, ყოფილი ხმოსანი.
21. დუმბაძე დიმიტრი მოსეს ძე, ჟურნალისტი.
22. სიხარულიძე ნოე გლახუნის ძე, კომერსანტი.
23. მამრაძე პეტრე გრიგორის ძე, ინჟენერი.
24. კრაუზე ოსვალდ კარლოს ძე, ინჟინერი. (უპარტიო).
25. დედაბრიშვილი (არაგვისპირელი შიო ზაქარიას ძე), მწერალი. (რადიკალ დემ.).
26. ღამბაშიძე ვახტანგ დავითის ძე, ექიმი. (უპარტიო).
27. ზედგინიძე ივანე ბესარიონის ძე, ნაფიცი ვექილი. (უპარტიო).
28. ყიფიანისს ნინო ბეჟანის ასული, მწერალი.
29. გველესიანი იოსებ იოსების ძე, კომერსანტი.
30. მაჭავარიანი გიორგი ლუარსაბის ძე, ნოტარიუსი.
31. კვირკველია დავით ბესარიონის ძე, ნაფიცი ვექილი.
32. ჯანელიძე გრიგოლ არხიპოს ძე, პროვიზორი.
33. მელიქიშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე, ექიმი (უპარტიო).
34. დიასამიძე ლევან ნიკოლოზის ძე. ინჟენერი.
35. ყავრიშვილისა ანნა ანტონის ასული.
36. ჯავახიშვილი იასონ (იურისტი).
37. ნასიძე ივანე აბრამის ძე, იურისტი.
38. ფირაქიშვილი სვიმონ ილარიონის ძე, კომერსანტი (რ.-დ.).
39 ქლენტი პლატონ, კომერსანტი.
40. ტაზიშვილი ირაკლი გრიგორის ძე, კოოპერატორი.
41. კავკარაძე ივანე სერაფიონის ძე, მასწავლებელი (უპარტიო).
42. კვეზერელი-კოპაძე ივანე ნიკოლოზის ძე, კომერსანტი.
43. კახიძე ტიტე ბენედიქტეს ძე, პედაგოგი.
44. ლორთქიფანიძე, ალექსანდრე სვიმონის ძე, კომერსანტი (რ.-დ.).
45. ღვთისაფრიშვილი სვიმონ, ბუღალტერი (უპარტიო).
46. ზურაბიშვილი ვასილ გიორგის ძე, კომერსანტი. (რად. დემ.)
47. გაბუნია სილოვან, ნაფიცი ვექილი.
48. ჰინჰარაძე ნიკოლოზ, კომერსანტი.
49. ალხაზიშვილი ილია სოლომონის ძე, პროვიზორი. (მწერალი).
50. ახვლედიანი ვარლამ სოლომონის ძე, აფთიაქის პატრონი.
51. ჯაიანი ბესარიონ, ბუღალტერი.
52. ქყონია სვიმონ შერმადინის ძე, კომერსანტი.
53. გელოვანი სამსონ ჯანსუყის ძე, ნაფიცი ვექილი. (უპარტიო).
54. ქრელაშვილი ნიკოლოზ იოსების ძე, კომერსანტი.
55. კანდელაკი გრიგორ ზახარის ძე, იურისტი.
56. აფხაზი ივანე დიმიტრის ძე, იურისტი. (უპარტიო).
57. ჩაჩიბაია გიორგი ზურაბის ძე, საოლქო სასამართლოს წევრი. (უპარტიო).
58. ყიფშიძე ივანე ანდრიას ძე, ინჟენერი. (უპარტიო).
59. ყიფიანი ვასილი გიორგის ძე, კომერსანტი.
60. ხერხეულიძე მიხეილ ზურაბის ძე, ჟურნალისტი.

## რად იმარჯვებს ეროვნული დემოკრატია?

საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან მოდის ცნობები ეროვნული დემოკრატიის გაძლიერებისა და ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ. ახალგაზდა პარტია, რომელიც სულ ორიოდე წლის წინად დაარსდა, ებრძვის და ალაგ-ალაგ სასტიკადაც ამარცხებს უძველეს სოციალისტურ პარტიებს, რომელთაც ათეული წლების ისტორია აქვთ. განსაკუთრებით შეგნებული ამომრჩევლები, ქალაქებისა და მოწინავე პროვინციების მცხოვრებლები, უცხადებენ ნდობას ეროვნულ-დემოკრატიას. სოციალისტებს რჩებათ ჩამორჩენილი და მივარდნილი კუთხეები, სანამდე ჯერ კიდევ არ მიუღწევია არც ჩვენს გაზეთს, არც ჩვენს სიტყვიერ პროპაგანდას.

უეჭველია, ეს გარემოება უბრალო შემთხვევით არ აიხსნება. პრაქტიკულმა ცხოვრებამ, რომელიც ყველაზე უფრო დიდი და მიუდგომელი მსაჯულია, შეურყევლად დაამტკიცა ჩვენი იდეოლოგიისა და პროგრამის უპირატესობა სოციალისტური დოგმების წინაშე. კიდევ მეტი: ომისა და რევოლუციის ცეცხლს არსებითად მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული აზროვნება გადაურჩა, მწყობრი მარქსისტული და და სოციალისტ - ფედერალისტული დოქტრინებისაგან კი დღეს ნაშთებიღა დარჩა.

გავიხსენოთ ის ცხოველი იდეები, რომელიც ჩვენ პირველად დავუპირდაპირეთ სოციალისტების გაყინულ დოგმებს. ჩვენ პოლიტიკურ ბრძოლაში პირველად შევიტანეთ საქართველოს დამოუკიდებლობის აზრი. მაშინ სოციალისტური უმრავლესობა წინაალმდეგი იყო თვით ტერიტორიული ავტონომიისა. ეროვნული სახელმწიფო ქართველ სოციალ-დემოკრატებს რეაქციურ და უტოპიურ იდეათ მიაჩნდათ; მხოლოთ სოციალისტ-ფედე-

36

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს, 2 თებერვალს, თბილისის ქალაქის არჩევნებში
# ხმა მიეცით სიას № 2.

თედორე, ესკო, ლიდა, ბაბილინა, მარო, შალიკო და სიმონა დარახველიძეები, ბიჭიკო და სერაფიონ შარაშიძეები, პარმენი, ივლიანე, კოტე და პიმენ მუსერიძეები, პ. კერესელიძე, ქ. ქორქოსაძე, გ. საგანელიძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ, რომ ტყვეობიდან დაბრუნებული მცირე ავადმყოფობის შემდეგ, ქ. თბილისში გარდაიცვალა

**ტარასი სერგოს ძე კერესელიძე**

პანაშვიდი და გამოსვენება დანიშნულია დღეს, 1 საათზე, რკინის გზის საავადმყოფოში. (1—2072—1)

## უკანასკნელი ცნობები

ერევნის გუბერნიის სამხრეთ ნაწილში არაქსის ველზე არაქსის თურქული რესპუბლიკა დაარსდა ნახიჩევანში, მისი მთავრობა კიდეც შესდგა. მალე პარლამენტსაც მოიწვევენ.

ბრაუნშვეიგში 3 დღის საპროტესტო გაფიცვა დასრულდა. გაფიცულები მოითხოვენ მთავრობის გადადგომას და ნაცვლად სოციალისტურ მთავრობის დანიშვნას. მათ მხარს უჭერენ ოლქების და ვესტფალიის დელეგატები. განზრახულია დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაარსება.

საზავო კონფერენციის ხელმძღვე ინგლისის იმ სახელით წინადადება შემოვიდა, რომ ხალხთა ლიგამ რამდენიმე სახელმწიფოებს ჩააბაროს გერმანიის ყოფილი ახალშენების ადმინისტრაცია.

დელაკრუამ და ლუი ფრანშემ პარიზი დასტოვეს.

რალისტები ითხოვდნენ რუსეთის მოწყობას ფედერატიულ პრინციპზე. მაგრამ ფედერალისტები სამაგიეროთ ებრძოდნენ დიდი საქართველოს იდეას. მათი შეხედულობით ავტონომიური საქართველო ეგრეთ წოდებული რეალური მოსახლეობის მიხედვით უნდა შემოფარგლულიყო და ქართველებს დაეთმო თავისი უძველესი ისტორიული პროვინციები, ბორჩალო, ჯავახეთი და სხ. ეს ისტორიის ირონია იყო, რომ სოციალ-დემოკრატიულმა პარლამენტმა 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო სოციალისტ-ფედერალისტების რაზმი შავი ზღვის ფრონტზე გაემგზავრა, რუსებით, სომხებით და ბერძნებით დასახლებულ სოჭის ოლქის შემოსაერთებლად.

ძველი, დროგადასული აგრარული ურთიერთობის სალიკვიდაციოთ ეროვნულმა დემოკრატიამ მოითხოვა მსხვილი მამულების ჩამორთმევა და გლეხებზე გადაცემა სასყიდლითა და კერძო საკუთრების სახით. ამის წინააღმდეგ სოციალდემოკრატები მიწის მუნიციპალიზაციას მოითხოვდნენ, ხოლო ფედერალისტები სოციალიზაციას: ორივე მიმართულება თავდაპირველად თანახმა იყო, რომ გლეხს მიწა უსასყიდლოთ მისცემოდა. ამ ერთი კვირის წინათ სოციალისტურმა პარლამენტმა მიიღო აგრარული კანონი, რომელიც აშკარად ეროვნულ-დემოკრატიული აზროვნების ბეჭედს ატარებს: ამ კანონში დაცულია როგორც კერძო საკუთრებისა, ისე შესყიდვის პრინციპი.

ეს არის ორიოდე საყურადღებო ნიმუში სოციალისტების კაპიტულაციისა ეროვნულ დემოკრატიული იდეოლოგიის წინაშე. და ამის შემდეგ გასაკვირალი არ არის, რომ ქართველი ამომრჩევლები ნამდვილ ეროვნულ დემოკრატებს უპირატესობას აძლევენ მათი წამბაძველების წინააღმდეგ.

მაგრამ არის საზღვარი, რომლის გადაბიჯება სოციალისტებს აღარ შეუძლიათ, თუ ჰსურთ, რომ ძველი შინაარსი თუ არა, ძველი სახელი მაინც შეინარჩუნონ. სოციალისტებმა ხელთ იგდეს სახელმწიფო ძალა-უფლება, მაგრამ უარს ვერ იტყვიან კლასობრივ პოლიტიკაზე. სოციალ-დემოკრატია პროლეტარიატის პარტიაა, ფედერალისტები თავიანთ თავს ბუნდოვანად „მშრომელი ხალხის“ იდეოლოგებს უწოდებენ. ამ ადამიანებს არ შეუძლიანთ ინტეგრალური სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წარმოება, ასინი ყოველთვის ეროვნულ ინტერესებს ამა თუ იმ ჯგუფის ეგოისტურ მიზნებს უქვემდებარებენ. ეს განსაკუთრებით ნათლად სჩანს ფინანსიურ მეურნეობაში. სახელმწიფო ხაზინა დავალიანებულია, ბიუჯეტი წელს ორასი მილიონი მანეთის დეფიციტს გვიქადის. ამავე დროს ხალხში შვიდასი თუ რვაასი მილიონი მანეთის ქაღალდის ფული ტრიალებს, რაიცა ცხოვრების საშინელ გაძვირებას იწვევს. სახელმწიფო სწრაფი ნაბიჯით ფინანსიურ კრახს უახლოვდება, ხოლო ქალაქის მცხოვრებლებს დამშევა და ფიზიკური განადგურება მოელის.

მაგრამ სოციალისტურ პარტიებს ვერ გაუბედნია რადიკალური ზომების მიღება გადასახადების ასაკრეფად. მათი კანონმდებლობა პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებს ქალაქის პროლეტარიატისა და ბოგანო გლეხობის ერთს ნაწილს, აძვირებს მუშა-ხელს, ასუსტებს შრომის ინტენსივობას, შლის წარმოებასა და აღებ-მიცემობას, იწვევს სპეკულიაციას და ბოლოს ყველაზე მეტად იმავე მუშა-ხალხსა და ინტელიგენციას აზარალებს.

რკინის ხელი და დრაკონის კანონებია საჭირო, რომ საქართველომ თავი დააღწიოს ფინანსიურ კრიზისს და პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან ერთად ქონებრივი დოვლათიც მოიპოვოს. ხოლო ამგვარი კანონების გამოსაცემად საჭიროა ძლიერი ნებისა და მკაცრი ვალდებულების ადამიანები, რომელნიც ყველაზე მეტად სახელმწიფოს კეთილდღეობას აფასებენ.

## მოქალაქენო!

არ შეცდეთ! ხმა მიეცით მხოლოდ

**№ 2,** რადგანაც, რუსეთის დამფუძნებელ კრების არჩევნებში ჩვენი საარჩევნო № 8 იყო, ჩვენგან განდგომილი; ეგრედ წოდებული „ეროვნული“ პარტია სცდილობს ხალხი შეცდომაში შეიყვანოს და ამ №-ით გამოდის.

**არ შესცდეთ!** ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სია საქალაქო არჩევნებში და დამფუძნებელ კრებაში არის მხოლოდ **№ 2.**

## № 1 თუ № 2?

პირველი ნომერი არის მუშათა პარტიისა, იმ მუშათა, რომელთაც თავის მკლავის ძალ-ღონის მეტი არა აბადიათ რა, არც მიწა, არც წყალი, არც სახლკარი, გამოაქვთ ბაზარზე თავის ძალ-ღონე, ჰყიდიან იმას და ჰსცხოვრობენ ამ შემოსავლითა. ასეთი არიან განსაკუთრებით დიდი ქარხნის და ფაბრიკის მუშები. მათი ცხოვრების პირობანი მართლა გამწვავებულია და მათი ბრძოლა ყოვლად სამართლიანი.

მეორე ნომერით გამოდიან ეროვნულ-დემოკრატები. ეგენი არ წარმოადგენენ ერთს რომელიმე კლასს,—მუშებს, ვაჭრებს ან თავად-აზნაურებს. ეგენი არ იცავენ ერთის კლასის ინტერესებს. არა, მათი პროგრამმა სულ სხვანაირია. მათი რწმენით, თავდაპირველად უნდა აშენდეს და განმტკიცდეს საქართველოს სახელმწიფო; ამ შენობაში უნდა მიიღოს მონაწილეობა ყოველმა მოქალაქემ, მუშაა იგი თუ ვაჭარი, ერი თუ ბერი. სამხედრო ბეგარა სავალდებულოა ყველასათვის, ყველა უნდა გავიდეს ჯარში და საჭიროების დროს თავიც შესწიროს სამშობლოს. აშკარაა, აქ კლასობრივი თვალსაზრისი ყოვლად მიუღებელია. მიუღებელია მაშასადამე № 1-რიც.

პირველი ნომერი ებრძვის კაპიტალს და მიზნადა აქვს დასახული კერძო საკუთრების მოსპობა. მაგრამ თუ კაპიტალი განდევნილი იქნება ჩვენი ქვეყნიდან, ამით დაზიანდება მხოლოდ ჩვენი ქვეყანა და თავდაპირველად სწორედ იგივე მუშა; თუ მოისპობა კერძო საკუთრება, მოისპობა ვაჭრობა-მრეწველობაც ე. ი. ის საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლა ნივთებისა და ნაწარმოებისა, რომელიც აუცილებლად საჭიროა ჩვენი ქვეყნისათვის. მაშინ არ გვექნება სახსარი არამც თუ იმისთვის, რომ მოვაწყოთ ჩვენი ჯარი, მთავრობა, სასამართლო, მილიცია, სახალხო განათლება და მრავალი სხვა საჭიროებანი, არ გვექნება უბრალო საცხოვრებელი საგნებიც—პური, შაქარი, ნავთი და ბევრი კიდევ სხვა რამე რაც ჩვენში ნაკლებად არის და სხვა ქვეყნებიდან უნდა შემოვზიდოთ. მაშ რა ჰქუაა—ეხლა რომ მოვითხოვოთ კერძო საკუთრების მოსპობა ან ბრძოლა გამოვუცხადოთ კაპიტალს?!

მეორე ნომერი სხვაფერ უყურებს ამ გარემოებას. იგი გამოდის სახელმწიფოებრივი პრინციპიდან: სახელმწიფოში არავინ უნდა იყოს დაჩაგრული და თუ მსხვერპლი საჭიროა, ყველამ უნდა გაიღოს ეს მსხვერპლი. ამიტომ თუ მუშებს ჰყვლეფავენ— ბოლო უნდა მოეღოს ამ ყვლეფას, სწორედ ისე, როგორც ბოლო უნდა მოეღოს იმ დანგრევას და განადგურებას, რომლით გულუბრყვილო მუშები ხშირად ემუქრებიან კაპიტალს ვაჭრობასა და მრეწველობას. მეტყვიან—ეს შეუძლებელია, აქ შეურიგებელი წინააღმდეგობაა. სრულიადაც არა. მიაქციეთ ყურადღება ყველა დაწინაურებულ და განათლებულ ქვეყნებს და თქვენ აშკარად დაინახავთ, რომ ეს შეთანხმება შრომის და კაპიტალისა ერთად-ერთი გზაა განვლილი და დამტკიცებული. ჩვენც ამ გზას უნდა დავადგეთ, თუ არ გვინდა დავიღუპოთ თავი.

ასევე პრინციპიდან გამოდიან ეროვნულ-დემოკრატები შესახებ მიწის მფლობელობის რეფორმისა. სოციალ-დემოკრატებს თავი მოაქვთ—მემამულეებს მიწა ჩამოვართვათო. მერე რა? განა უსასყიდლოდ ქონების ჩამორთმევა შეეფერება და ეკადრება სახელმწიფოს?! განა ეს იგივე ძარცვა-გლეჯა არ არის, რომელიც განსაზღვრულია სისხლის სამართლის კანონებით? ამ უსამართლობას ვერ ურიგდება ადამიანის სინდისი. თუ სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით საჭირო იყო მიწა, სახელმწიფოს იგი უნდა გამოესყიდა, მხოლოდ ისე, რომ მთელი ფინანსიური სიმძიმე ამ ოპერაციისა დასწოლოდა მხრებზე უფრო შეძლებულ კლასს... ვიმეორებ, სახელმწიფოში არ უნდა იყოს არავინ დაჩაგრული და გაძარცული. უამისოდ სახელმწიფო ჰკარგავს მის უაღრეს ზნეობრივ ღირებულებას.

ამ ნაირად, რასაც-კი მოჰკიდებს ხელს № 1, ყველგან შეაქვს თავისი პროლეტარული, კლასობრივი თვალსაზრისი, და ყველგან ჰბადებს შინაურ ბრძოლას და განხეთქილებას. ეს-კი არევ-დარევაა და აწეწ-დაწეწვა ყოველი საქმის და საქმიანობისა. დღეს არჩევნებია ქ. თბილისში. წარმოიდგინეთ რა ხიფათი მოგველის, თუ ქალაქის მეურნეობა და მართვა-გამგეობა ჩაუვარდება ხელში პირველი №-ს? ქალაქი არის განსაკუთრებით ვაჭრობა-მრეწველობის და კულტურული ცხოვრების ცენტრი და თუ ეს ცენტრი თქვენ ჩააბარეთ ისეთ პარტიას, რომელიც ებრძვის ვაჭრობა-მრეწველობას და კერძო საკუთრებას. თქვენი მტერი, მისი კულტურისაგან არა დარჩება-რა და ჩვენი ქალაქის ლამაზი პროსპექტები ძალე შეიმოსება ნანგრევების ბალახ-ბულახით.

არა, თუ გინდათ ააყვავოთ ჩვენი დედა-ქალაქი, თუ გინდათ გაშალოთ მაში ვაჭრობა და მრეწველობა, ცოდნა და ხელოვნება, თუ გინდათ გახადოთ იგი კერა განათლებისა და ბურჯი ჩვენი დამოუკიდებლობისა,— მიეცით ხმა მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სიას № 2.

გ. გ.

სოციალისტური პოლიტიკა ანადგურებს მრეწველობას, მეურნეობას, აღებმიცემობას და ნიადაგს ჰქმნის სპეკულიაციისთვის. ეროვნული დემოკრატია სცდილობს ეკონომიური ცხოვრება გააჯანსაღოს და ნორმალურ კალაპოტში ჩააყენოს.

## არაქსის თურქული რესპუბლიკა

ერევნის გუბერნიის სამხრეთ ნაწილში—არაქსის ველზე, რომლის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ თურქები, გამოუცხადებიათ „არაქსის თურქული რესპუბლიკა.“ შესდგა მთავრობა, რომელიც იმყოფება ქ. ნახიჩევანში. ამ ახლო ხანში მოწვეული იქნება პარლამენტი. რესპუბლიკის ტერიტორიაში ჯერ-ჯერობით შედის ნახიჩევანის მაზრა და შარურ-დარალაგოზის მაზრა (ე. ი. მთელი ყოფილი ნახიჩევანის სახანო). საზღვრის ხაზი სომხეთთან გასდევს მგელის კარის უღელტეხილთან (=თახნა), და სადარაჰთან, სადაც სდგას სომხეთისა და ახალი რესპუბლიკის ჯარები.

საგარეო საქმეთა მინისტრი არაქსის ახალი რესპუბლიკისა ბაგრევანხან ნახჩევანელი იმყოფება ამ ჟამად თბილისში და მოლაპარაკებას აწარმოებს ინგლისის წარმომადგენლობასთან.

## სამინისტროების რეორგანიზაცია.

ფინანსთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი და ვაჭრობა-მრეწველობის ნაწილის გამგე აფხაზი იმუშავებს სამინისტროების შემოკლებას. აქ სამინისტროები უნდა გაიყოს სამ სამინისტროდ. იქნება მხოლოდ სახალხო არმიის სამინისტრო, სახალხო მმართველობის და სახალხო მეურნეობისა. სახალხო არმიის სამინისტროში შევა სამხედრო სამინისტრო, რომელიც შესდგება განცალკავებულ საგენერალო შტაბის, ადმინისტრატიულ და კერძო შემადგენილობიდან. სახალხო მმართველობის სამინისტროში უნდა შევიდნენ შემდეგი სამინისტროები: იუსტიციის, გარეშე საქმეთა, შინაგან საქმეთა სამინისტროები და სახალხო განათლებისა. სახალხო მეურნეობის სამინისტროში შევა ფინანსიური, ვაჭრობა-მრეწველობის, გზათა, მიწადმოქმედების, შრომის და სასურსათო სამინისტროები. ფინანსთა მინისტრი. გ. ჟურული სრულიად იზიარებს აფხაზის პროექტს და განზრახულია პროექტი იქნეს წარდგენილი საქართველოს დამფუძნებელ კრებამდის. ასეთი შემოკლება სამინისტროების გამოიწვევს ფინანსიურ ეკონომიას სახელმწიფოს ინტერესების ხასარგებლოდ.

სოციალისტების მუნიციპალურმა მოღვაწეობამ გამოიწვია ქალაქის არაჩვეულებრივი დავალიანება; მხოლოდ ეროვნულ დემოკრატიას შეუძლია ქალაქი სრული გაკოტრებისაგან იხსნას. მიეცით ხმა № 2.

## ქრონიკა

**საფრანგეთის ელჩის გაძარცვა.** 31 იანვარს საღამოს, ვაზნესენსკის ქუჩაზე რამოდენიმე შეიარაღებულმა ბოროტგამზრახველმა გაძარცვეს საფრანგეთის ელჩი. წაღებულია ფული და ნივთები; რაოდენობა გამოურკვეველია.

— 29 იანვარს საღამოს 9 საათზე მ. კუსის ბინიდან, სასამართლოს ქუჩა, რამოდენიმე ბოროტგამზრახველმა წაიღეს ასი-ათასი მანეთი ფული და ძვირფასი ნივთები.

**ქურდობა.** 31 იანვარს ღამით მონასაროვის ბინიდან, კირპიჩნი ქუჩა № 18, 2 შეიარაღებულმა ბოროტგამზრახველმა წაიღეს 23,000 მანეთი და ფული.

**დატუსაღება.** ქ. თბილისის გენერალ-გუბერნატორმა გ. აკოპოვი და გ. აvეტიკოვი საქართველოს წინააღმდეგ აგიტაციისათვის და გრნესტი ლიტერლე მათი დამალვისათვის დაატუსაღა და გადაუწყვიტა პირველს ორს დატუსაღება 3 თვით და სასჯელის მოხდის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკიდან გაძევება. უკანასკნელი კი ორი კვირით დატუსაღება.

**სომხეთის პარლამენტის დათხოვნის საკითხი.** დაშნაკელების ფრაქციამ ერევანში აღძრა საკითხი პარლამენტის დათხოვნის შესახებ. მოტივად მოყავთ ის, რომ პარლამენტმა საკითხები დაამთავრა და ისიც რომ პარლამენტის წევრები დაიღალნენ ამაზე სოც.-დემოკრატების და სოც.-რევოლიუც. ფრაქციებმა პროტესტი განაცხადეს.

**ერევანში სომხეთის დეპეშათა სააგენტო დაარსდა.**

**ერევნიდან თბილისში** ჩამოვიდა გენ. ყორღანოვი, რომელიც ამ დღეებში პარიზში მიემგზავრება, სომხეთის სამშვიდობო დელეგაციის წევრად. პაპაჯანოვი მიჰყვება, რომელიც ამ დღეებში ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა.

**ქართულ სამხედრო ალთქმა.** სამხედრო სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას დასამტკიცებლათ ტექსტი სამხედრო პირთა ალთქმისა შემდეგი შინაარსით: „მე, მოქალაქე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა, ალვთქვამ საკაროდ და რაზმის დროშის წინაშე, რომ შემოვედი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ჯარში ვემსახურო სამშობლოს, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას, როგორც ეს შეეფერება პატიოსან, ერთგულ და მედგარ რესპუბლიკის ჯარის კაცს; ყოველგვარ გაჭირების და ნაკლულოვანების მიუხედავათ, მოვალე ვარ დავიცვა საყვარელი სამშობლო ჩემი—საქართველო—უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებისაგან. ამიტომ მოვალე ვარ ვიყო ერთგული, სამართლიანი, თავგანწირული და უცილობელი შემსრულებელი უფროსთა ბრძანებებისა, რომელნიც შეეხებიან რესპუბლიკის სარგებლიანობას და მთავრობის მოთხოვნილებათ. ზემოაღნიშნულ ფიცის დაურღვევლად და სავსებით შესრულებას სრულ მოქალაქეობრივ შეგნებით ვაწერ ხელს.

**ქართული ტიბიკონის საკითხი.** ახალციხის ქართველ კათოლიკეთა აღმასრულებელმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა იუსტიციის მინისტრის წინაშე, რათა მან ხელი შეუწყოს ეგრეთ წოდებულ ქართულ ტიბიკონის საკითხის გადაწყვეტას, ე. ი. ქართველ კათოლიკეთა სომეხ კათოლიკეთა მართველობისაგან განთავისუფლებაზე, იუსტიციის მინისტრის ამხანაგის განკარგულებით ხსენებული შუამდგომლობა გადაეცა წინასწარ განსახილველათ სრულიათ საქართველოს საქათალიკოსო, საბჭოს, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, თუ რანაირათ შეიძლება ტეხნიკურათ განხორციელდეს ქართველ კათოლიკეთა შუამდგომლობა.

**ყუმბარების აღმოჩენა ვერის ხიდქვეშ** მილიციამ აღმოაჩინა ვერის ხიდის ყურთან მოიჯარადრე პაპაიანცის მიწაზე გუშინ ორი ციხოსნური გატენილი ყუმბარა. ოქმი შედგენილია და გამოძიება სწარმოებს.

**თბ. ვაჟთა მე-8 გიმნაზიის** დირექტორი სთხოვს აღნიშნულ გიმნაზიის მოწაფეთა მშობლებს და მზრუნველებს მობრძანდნენ კვირას, 2 თებერვალს, დილის 11 საათზე, გიმნაზიის (ყოფილ სასულ. სემინარია) დარბაზში მშობელთა წრის დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად.

**გენერალი ფონ-კრესი,** რომელიც ცხოვრობდა ქ. ქუთაისში, ინგლისურ მისიის განკარგულებით სპეციალ მატარებლით გუშინ დღის 12 ს. ბათუმში გაემგზავრა.

**ბონების გამოშვება.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მოლაპარაკება აქვს სომხეთის და აღერბეიჯანის მთავრობასთან 240 მილიონ მანეთის ბონების გამოშვების შესახებ.

## მხატვრული ქრონიკა

† **მსახიობი გედევანოვი.** მოკლე ხნის ავადმყოფობის შემდეგ იანვრის 27, ღამის 11 საათზე გარდაიცვალა დამსახურებული მსახიობი გედეონ ვასილის ძე გედევანოვი. დაკრძალვა მოხდება დღეს 2 თებერვალს, დილის 10 საათზე. მცხედარს მოასვენებენ ღვთისმშობლის ეკლესიაში. მიხაილოვის ქუჩა, დაკრძალავენ ხოჯევანქის სასაფლაოზე.

გამოვიდა ალექსანდრე ჩაჩიკაშვილის სპარსული პოემა „ინტა“, ღირს 2 მან. იყიდება ქართულ კლუბში.

გამოვიდა დია ჩინელის „შემოდგომის ცრემლები“ (ნოველები და ლეგენდები) ღირს 6 მანეთი.

## მოქალაქენო!

**დღეს** არის ქალაქის არჩევნები.

**დღეს** გადაწყდება ჩვენი დედა ქალაქის ბედი.

**დღეს** ყველას ხელში უნდა ჰქონდეს **ბიულეტენი № 2.**

ვისაც მოწმობა არ მიუღია უნდა მივიდეს თავის უბნის საარჩევნო კომისიაში, სადაც ყუთი იდგმება და, მოიკითხოს ბარათი და კონვერტი. (კომისიების მისამართი ჩვენი გაზეთის პირველ გვერდზე სწერია).

**დღეს** არ უნდა დარჩეს არც ერთი მოქალაქე ხმა მიუცემელი.

ჩააგდეთ ყუთებში სიით **№ 2.**

სახელმწიფო თეატრში ჟამად დასრულდა რეპეტიციები ქართულ, ორიგინალურ ოპერისა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ დ. არაყიშვილისა და ამ დღეებში ჩვენი საზოგადოება მოისმენს მას.

ქართულ სამუსიკო საზოგადოებამ აღძრა თხოვნა ქართულ უნივერსიტეტის საბჭოს წინაშე, რომ მან ნება დართოს დაარსდეს ქართული მუსიკის კათედრა. საბჭომ ეს სასიამოვნო კითხვა პრინციპიალურად მიიღო.

დღეს სახელმწიფო თეატრში ახალგაზრდა ნიჭიერ მომღერალის ბ. ინაშვილის საბენეფისოდ იდგმება ქართულ ენაზედ „დემონი“.

## პარტიული ცხოვრება

28 და 29 იანვარს ქ. სიღნაღში გაიმართა ორი ლექცია ტ. მარგველაშვილისა. პირველი იყო შემდეგ თემაზე „დამფუძნებელი კრება და ეროვნული დემოკრატია“. დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით და ყველა პარტიების წარმომადგენელნი დაესწრნენ ლექციას. ლექტორს ხშირათ აწყვეტინებდნენ ხანგრძლივი ტაშით. ლექციის ბოლოს, რომელმაც გასტანა ერთი საათი, გამოვიდნენ ს. ფედერალისტები, რომელნიც მოითხოვდნენ დაუყონებლივ სოციალიზმის განხორციელებას ლექტორმა მათ ღირსეული პასუხი გასცა. აღნიშნა რა ბოლშევიკური ხასიათი მათი მოთხოვნილებისა და შეუფერებელი პოზიცია სახელმწიფოებრივ საკითხებში. განსაკუთრებით აღფრთოვანება ეტყობოდა ახალგაზრდობას, რომელსაც ლექტორმა ბოლოს მოკლე სიტყვით მიმართა. დიდი ხალხი დაესწრო და დიდი ინტერესით მოეკიდა საზოგადოება ლექტორის მეორე ლექციასაც 29 იანვარს „ეკონომიური ვითარება საქართველოსი“. ბევრი პრაქტიკული საკითხები იქმნა წამოყენებული და გაშუქებული. მაგ. დიდი ინტერესი გამოიწვია მწარმოებელთა კავშირების დაარსების საკითხმა.

საზოგადოება ფხიზლათ და ყურადღებით ისმენდა და გათავებისას დიდი მადლობა უძღვნა ლექტორს.

პარტიული მუშაობა გაცხოველდა.

## † გ. მირაღიან-გედევანოვი

(ნეკროლოგი)

კიდევ ერთი თვალსაჩინო წევრი გამოაკლდა ქართულ სცენას. სახადით გარდაიცვალა ცნობილი ქართულ-სომხურ სცენის დამსახურებული მსახიობი გ. მირაღიან-გედევანოვი. მსახიობი თითქმის ოცდა ხუთმეტი წელიწადი ემსახურებოდა სასცენო ხელოვნებას. ქართველ საზოგადოებას კარგად ეხსომება მისი ზოგიერთი დაუვიწყარი ტიპები, რომელთაც ყოველთვის კარგად ახასიათებდა. იგი თამაშობდა ყოველ გვარ ამპლუის როლებს. დრამა იყო იგი თუ კომედია მუდამ სინდისიერად გამოსულა თავის მოვალეობიდან. განსვენებული დიდი ხალისით ეკიდებოდა ყოველ გვარ დაწესებულ სათეატრო საქმეს და მას ნახავდით თბილისის ყველა სცენებზე. სახალხო სახლის სცენაზე თუ სახელმწიფო თეატრში. არ თაკილობდა სცენის მოყვარეებთან თამაშსაც. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის სომხურ სცენაზედაც. მსახიობის საუკეთესო როლები იყო პოლონიუსი (ჰამლეტი) პატრი (ყაჩაღებში) ტარტიუფი და სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს პარლამენტში

**30 იანვრის სხდომა.**

**თავმჯდომარეობს ექ. თაყაიშვილი.**

თანახმად სარედაქციო კომ. წევრის ...რსენიძის მოხსენებისა პარლამენტმა უკამათოდ მიიღო საბოლოო ტექსტი: მიწადმოქმედების სამინისტროს შტატის ხარჯთ-აღრიცხვისა, მიწათმოქმედების სამინისტროსთვის 61500 მ. გადაცემის, სახელმწიფო მოსამართლეთა საჩუქრის მოსპობის, მომრიგებელ მოსამართლეთა ქვემდებარეობის გაფართოვების, საგუბერნიო სამინისტრაციო დაწესებულებათა გაუქმების, ათ მილიონიან ფონდის აღრიცხვის, განსაკუთრებულ რაზმის ...ხთაღრიცხვის.

**კანონ-პროექტი ორი მილიონი მანეთის გადაცემისა აგრარულ რეფორმის გასატარებლად.**

ნ. ონიაშვილი. წარსულ წელს ამიერ-კავკასიის სეიმმა გახსნა მიწათმოქმედების სამინისტროს მილიონ ნახევარი მანეთის კრედიტი აგრარულ რეფორმის გასატარებლად. ეს ფული ეკუთვნოდა არა მარტო საქართველოს, არამედ—განჯის და ერევნის გუბერნიებსაც. საქართველოში დაარსდა მიწის მიმღები კომისიები: თბილისის გუბერნიაში 30 კომ., ქუთაისის 20 კ. და აგრეთვე დაარსდა საადგილ-მამულო კომიტეტები. კომისიები იბარებენ ჩამორთმეულ მამულებს; ბევრ ადგილას მათ თავიანთი მუშაობა დაამთავრეს, მაგრამ არის ადგილები, სადაც მიწების ჩაბარება კვლავ სწარმოებს და მუშაობა კომისიებს არ დაუმთავრებია. მიწათმოქმედების სამინისტროს უნდა გადაეცეს ორი მილიონი მანეთი ამ კომისიების ხარჯების დასაფარავათ. კანონ-პროექტი, რომელიც ერთი მუხლისაგან შესდგება, პარლამენტმა უკამათოდ მიიღო. მისივე მოხსენებით პარლამენტმა მიიღო საპყრობილეთა შესანახად გაწეულ ხარჯების დასაფარავათ 131074 მ. 89 კაპ. გადადების კანონ-პროექტი.

**კანონ-პროექტი წყლის ძალთა გამოყენების.**

კ. ნინიძე. მოახსენებს პარლამენტს, რომ წარმოდგენილ კანონ-პროექტის ძალით, ვისაც სურს წყლის ძალთა გამოყენება ელექტრონის სადგურისთვის ან სხვა მიზნისთვის, თუ ენერგია, რომელიც უნდა დაიხარჯოს არ აღემატება 300 ცხენის ძალას, ნებართვა უნდა მიიღოს წყლის სამმართველოსაგან, თუ ენერგია საჭირო 300—ათი ათას ცხენის ძალამდის ნებართვას აძლევს მთავრობა, თუ ათი ათას აღემატება ამტკიცებს საკანონმდებლო ორგანო. კანონ-პროექტი უკამათოდ მიიღეს.

**კანონ - პროექტი გადასახლებულთა მიერ დატოვებულ მიწების სახელმწიფო ფონდში გადასვლისა.**

კ. ნინიძე მოახსენებს პარლამენტს, რომ ძველმა მთავრობამ გადმოსახლებულებს მისცა მიწები, რევოლიუციის შემდეგ გადმოსახლებულნი წავიდნენ რუსეთში და მათი მიწები უპატრონოდ არის დატოვებული. ეს მიწები გადავა სახელმწიფოს ფონდში, საიდანაც უმიწაწყლო გლეხები მიწებს მიიღებენო. პარლამენტმა წარმოდგენილი კანონ-პროექტი მიიღო.

**კანონ-პროექტი ომიანობის გამო ჯარში გაწვეულ ადგილების და ჯამაგირების შესახებ.**

მინ. ტორომშელიძე მოახსენებს პარლამენტს, რომ წარმოდგენილი კანონპროექტის ძალით ომში წასულ მუშებს და მოსამსახურეებს ენახებათ ადგილები და აგრეთვე სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს ეძლევათ ჯამაგირის ნახევარიო. კანონ-პროექტის პარლამენტმა მიიღო.

**კანონი სომხებთან ომიანობის გამო ჯარში გაწვეულ მეომართა და მათ ოჯახთა უზრუნველყოფის შესახებ.**

კ. ანდრონიკაშვილი თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ეს კანონპროექტი შეეხება მოხალისეებს და გვარდიელთ. სახელმწიფო მოვალეა დახმარება აღმოუჩინოს ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებსო. ადგილობრივი თვითმართველობანი გამოიკვლევენ ოჯახის საცხოვრებელ მინიმუმს, მუშის საშუალო ხელფასს და დახმარების აღმოჩენის დროს იხელმძღვანელებენ შეკრებილ ცნობებით. ამ კანონის განხორციელებისათვის სამხედრო სამინისტროს უნდა მიეცეს 350 ათასი მანეთი. პარლამენტმა კანონი მიიღო.

**დროებითი დებულება მთავრობის მიერ დანიშნულ რევიზიისა.**

ი. ფირცხელაიშვილი წარმოდგენილ კანონ-პროექტით მთავრობის თავმჯდომარეს ეძლევა უფლება დაუნიშნოს რევიზია სხვა და სხვა უწყებებს. რევიზიის მუშაობამ რომ ნაყოფი გამოიღოს, სარევიზიო კომისია უნდა აღიჭურვოს ფართო უფლებებით. უნდა მიეცეს ნება მას დანიშნოს წინასწარი გამოძიება გადააყენოს ბოროტმოქმედების ჩამდენი მოხელენი თანამდებობიდან და სხვა. წარმოდგენილი კანონ-პროექტი უნდა ეხებოდეს ყველა იმ ბოროტ-მოქმედებს, რომელიც ჩადენილი იყო დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. კანონი პარლამენტმა მიიღო.

მიიღეს უკამათოდ თანახმად ილ. ფირცხელაიშვილის მოხსენებისა კანონპროექტი დროებითი საგანგებო სასამართლოს ქვემდებარეობის გაფართოვებისა ამ კანონის ძალით სამსახურში მოხელეთა მიერ ჩადენილ ბოროტ-მოქმედებანი უნდა გარჩეულ იქნენ დროებითი სასამართლოში.

## ექვ. თაყაიშვილის სიტყვა.

**(პარლამენტის დახურვის წინ 31 იანვარს.**

მოახლოვდა დამფუძნებელი კრების არჩევნები და ამის გამო ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ შევსწყვიტოთ პარლამენტის სხდომები. მე ვამბობ შევსწყვიტოთ და არა სულ დავითხოვოთ პარლამენტი; ჩვენ ისეთ დროს ვცხოვრობთ, არ ვიცით თუ რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე. ამიტომ ადვილად შეიძლება დაგვჭირდეს პარლამენტის მოწვევა დამფუძნებელი კრების შეკრებამდის. თუ ასეთი საჭიროება დაგვიდგა, პრეზიდიუმი დაუყოვნებლივ მოგიწოდებთ. მაგრამ არა ვგონებ პარლამენტის მოწვევა დაგვჭირდეს და ეს ახლავად არც სასურველია, ამიტომ გთხოვთ დღესვე მიიღოთ წინადადება, რათა დამფუძნებელი კრების მოწვევის დღიდან ეს პარლამენტი დახურულად იყოს აღიარებული და მისი სესია დამთავრებულად. ამას გარდა, როგორც სამართლიანად დააყენა კითხვა პარლამენტის წევრმა ლომთათიძემ, აქვე უნდა გადაწყდეს, თუ ვინ უნდა მოიწვიოს დამფუძნებელი კრება. ცხრა თვეა რაც ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოიშვა, ცხრა თვეა რაც ჩვენი პარლამენტი არსებობს. ამ ცხრა თვის განმავლობაში პარლამენტს შესვენება არ უნახავს. მისი მუშაობა ინტენსიური იყო. თქვენ იცით, თუ რა საბედისწერო დროს შევქმენით საკუთარი სახელმწიფო. ქართველ ერს ფიზიკური განადგურება ადგა კარს. ჩვენმა პარლამენტმა და მისმა მთავრობამ შესძლო გადარჩენა ერისა განადგურებისაგან. შესძლო ჩაქრობა შინაგან ანარქიისა, შესძლო დაბრუნება დაკარგული მაზრებისა, შესძლო მოგერიება და დამარცხება ვერაგულად თავზედამცემი მტერისა, შესძლო გატარება ცხოვრებაში უაღრეს მნიშვნელოვან რეფორმებისა, როგორც არის მაგალითად ერობის შემოღება, აგრარული რეფორმა, სკოლების გამრავლება, სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა, ნაფიც მსაჯულთა კანონების გამოცემა და სხვა. პარლამენტს ბედმა არგუნა დაედვა საფუძველი დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის. მოეწყო სახელმწიფო აპარატი. გამოეცა ახალი კანონები და შექმნა ახალი ნორმები, სულ 92 სხდომა ჰქონდა პარლამენტს. შემოვიდა 243 კანონ პროექტი, განხილული და მიღებულია 162. ამ რიცხვში არ შედის დღევანდელ სხდომაზე მიღებული კანონები. ოცი სხვა და სხვა კომისია მუშაობდა ჩვენს პარლამენტში. მათ შორის 15 დიდ მნიშვნელოვანი იყო და ზოგს მათგანს კვირაში ხუთ-ჯერ უხდებოდა შეკრება. ფრაქციათა რიცხვი 12 იყო.

ჩვენი პარლამენტის სასარგებლოდ უნდა ითქვას: მიუხედავათ მრავალი პარტიებისა და სხვა და სხვა მიმართულებისა მთავარ საკითხებში, რესპუბლიკისათვის დამოუკიდებლობის მოპოვებაში, ანარქიის ჩაქრობაში და გარეშე მტერის მოგერიებაში პარლამენტი ყოველთვის ერთსულოვანი იყო. აქ პარტიები აღარ სჩანდა. პარლამენტის სასახელოდ კიდევ უნდა ვსთქვათ, ამ ცხრა თვეს წესიერება ერთხელაც არ დარღვეულა ჩვენს საკრებულოში, ვგონებ ეს იშვიათი მოვლენაა სხვა სახელმწიფოების პარლამენტის ცხოვრებაში, არც ერთხელ არ ყოფილა შემთხვევა თავმჯდომარე პარლამენტისა იძულებული ყოფილიყოს რომელიმე წევრი შეეზღუდოს სიტყვის ჩამორთმევით, კრებაზე დასწრების აკრძალვით ან დარბაზის დატოვებით. ყველა ეს იმის მომასწავებელია, რომ ჩვენი ხალხი მომზადებულია საპარლამენტარული წეს-წყობილებისათვის. ჩვენს პარლამენტის წევრებს თავის მოვალეობა და ღირსება კარგათ ესმოდათ. ვინ იტყვის, ასეთ სწრაფის და ინტენსიური მუშაობის დროს ჩვენ შეცდომები არ მოგვდიოდა, ჩვენს მუშაობას ნაკლი არა ჰქონდა, მაგრამ ამას ყველას შეასწორებს და შეავსებს ჩვენი დამფუძნებელი კრება, რომლის თავი მიზანი იქნება განამტკიცოს თავისუფლება სახელმწიფოისა, შექმნას კონსტიტუცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და მტკიცე ნორმებში ჩამოაყალიბოს მისი შინაგანი წესწყობილება. მე დარწმუნებული ვარ ამას ღირსეულად შეასრულებს მომავალი დამფუძნებელი კრება. ხოლო ეხლა გთხოვთ მიიღოთ ასეთი წინადადება:

1. პარლამენტის სხდომები შესწყდეს 31 იანვრიდან ამა 1919 წ.

2. პარლამენტი დათხოვნილად ითვლება დღიდან დამფუძნებელი კრების შეკრებისა. დამფუძნებელ კრებას იწვევს პარლამენტის პრეზიდიუმი და პარლამენტის ცენტრალური დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისია.

(კრება ერთხმად იღებს წინადადებას).

ვაცხადებ რა კრებას დახურულად არ შემიძლია არ შემოგძახოთ: „გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მის მომავალ დამფუძნებელ კრებას!

# თბილისის მცხოვრებნო!

დღეს თბილისის ხმოსანთა არჩევნებია; არ დაკარგო შენი და შენი ოჯახის არც ერთი ხმა! დაამტკიცე საქართველოს ერთგულობა, მოიხადე თბილისის წინაშე შენი მოვალეობა!

თუ გინდა რომ თბილისი სავსებით ქართველობის გახდეს, აღდგენილ იქმნას მასში მშვიდობა და წესრიგი, მოგვარებულ იქმნას განათების და ქუჩების მოვლის საქმე, თუ გინდა რომ ქალაქმა დააღწიოს დღევანდელ ფინანსიურ გაკოტრებას, შეკეთდეს ტრამვაი, გაიაფდეს სურსათი და სანოვაგე,

**მიეცი ხმა ეროვნულ-დემოკრატიის სიას № 2.**

სოციალისტები კლასობრივ პოლიტიკას აწარმოებენ და სამოქალაქო შუღლს აღვივებენ. ეროვნული დემოკრატია ერთად ერთი სახელმწიფოებრივი პარტიაა, რომელიც კლასთა შეთანხმებას ჰქადაგობს.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

**საერთო ემიგრაციის აღკრძალვა.**

შეერთებულ შტატების ქვედა პალატაში ვაშინგტონის საემიგრაციო კომიტეტმა მიიღო კანონი ზავის შეკვრის შემდეგ 4 წლის განმავლობაში საერთო ემიგრაციის აღკრძალვის შესახებ.

**ინგლისის ლაშქარი.**

სამხედრო მდგომარეობის მიმოხილვაში ჰერჩილი სწერს: ნოემბრის 11 დროებითი ზავის შეკვრისას ინგლისს დაახლოვებით 3.500.000 ოფიცერი და ჯარისკაცი ჰყავნდა 650.000 კაცი უკვე დაითხოვეს. მრეწველობის გამოსაცოცხლებლად შემოღებული დემობილიზაციის სისტემა უმეტეს ნაწილად ძალაში დარჩება. ასეთი გაჭირვებით მოპოვებულ გამარჯვების ნაყოფის შესანარჩუნებლად ჩვენ რამოდენიმე თვით კიდევ უნდა დავტოვოთ შორის ტერიტორიაზე საოკუპაციო ჯარები. ჯარის მთავარსარდლების აზრით 3,500000 კაცისგან იარაღის ქვეშ უნდა დარჩეს 900,000 კაცი, დანარჩენნი კი დაითხოვონ მომავალში ჯარს შეადგენენ 1918 წლამდე ჯარში გაუწვეველთაგან, რომელნიც 27 წ. უფროსნი არ არიან და 2-ზე მეტი ჭრილობა არ მიუღიათ. შემდეგში ჯარის ამ რიცხვსაც შეამცირებენ.

## გერმანული პრესა

**გენ. ვინტერველის გადადგომის შესახებ.**

გაზეთების ცნობებით ჯერ კიდევ არ არის მიღებული გადაწყვეტილება გენერალ ვინტერველის გადადგომის შესახებ.

**პოლონელთა ფინანსიური მდგომარეობა.**

მოქალაქეებმა იციან, რომ პოლონეთის აპლანდელი ფინანსიური მდგომარეობა მეტად უიმედოა და მათთან შეერთება მხოლოდ ექსპლოატაციას გამოიწვევს აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1912 წელში რეიხსტაგის არჩევნების დროს პოლონელ კანდიდატებმა მიიღეს ყველა ხმების მხოლოდ 2 პროცენტი.

**გერმანელთა საზღვაო საკითხი.**

მოკავშირეთა სახელმწიფოებს გერმანიამ გაუგზავნა ნოტა, რომელშიც ჰთხოვენ ნება დართონ ხმელთა შუა ზღვით გადაიყვანონ გაიდარფაშირში დარჩენილი გერმანელები. ნოტა აგრეთვე იუწყება, რომ დღემდე არ მიუღიათ წერილობითი პასუხი შავ ზღვაში დარჩენილ გერმანელ ჯარისკაცთა შესახებ.

**საზავო კონფერენციაზე.**

ამერიკული გაზეთი „ბალტიმორ სუნი“ მიმოხილვაში სწერს, რომ საზავო კონფერენციაზე ყველა პატარა ერი სცდილობს გერმანიის დამარცხება თავის ერის გასამდიდრებლად გამოიყენოს პატარა ერების წარმომადგენელნი კომისიაში თხოულობენ მხოლოდ დაჯილდოვებას და როგორც ჰსჩანს, სხვა საკითხებს ისინი ყურადღებას არ აქცევენ. არა თუ მარტო საფრანგეთი, ბელგია და სერბია მოითხოვს გერმანიისაგან ზარალის ანაზღაურებას ისეთი სახელმწიფოებიც კი, როგორიცაა... (გამოტოვებულია).

**სერბიელთა შესვლა ფიუმეში**

სერბიელთა ბატალიონები იტალიელების მიერ დაცლილ ფიუმეში შევიდნენ.

**სპარტაკელთა მოძრაობის ჩაქრობა ვილჰელმსჰაფენში**

ვილჰელმსჰაფენში სპარტაკელთა მოძრაობა სავსებით ჩააქრეს. ორშაბათს მოვიდნენ კომუნისტები და დაიჭირეს საზოგადოებრივი დაწესებულებანი, დაიპყრეს სახელმწიფო ბანკი, საიდანაც დატყუებით წაიღეს 40000 მარკა. კომუნისტებმა ეს ფული არ დაუბრუნეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს და სახელმწიფო ბანკიდან 100000 მარკა კიდევ გაიტაცეს. გატაცებული ფული შეიტანეს ტაუზენდგამის ყაზარმაში. სადაც სპარტაკელთა მთავარი ბანაკი იყო. მოლაპარაკების შემდეგ სპარტაკელები დათანხმდნენ, რომ ის ფული სახელმწიფო ბანკს დაუბრუნონ, მაგრამ როცა ფულის წასაღებათ ყაზარმასთან ჯარისკაცებით ავტომობილი მოვიდა, სპარტაკელებმა მას სროლა აუტეხეს. ამის შემდეგ ყაზარმას ალყა შემოარტყეს და მის წინააღმდეგ ტყვიისმფრქვეველები და წვრილი საზღვაო ზარბაზნები აამოქმედეს. ერთი საათის ბრძოლის შემდეგ სპარტაკელებმა ბანკს დაუბრუნეს ფული გარდა უკვე გატაცებულ ნაწილისა, შემდეგ 4 საათის ბრძოლის შემდეგ, სპარტაკელებმა განაცხადეს, რომ ღამის 3 საათზე ისინი დანებდებიან. 500 ტყვეთ წამოიყვანეს, 7 მოკლულია. შემდეგ დღეებში შესწყდა გაფიცვა და წესიერება ყველგან აღადგინეს. ქალაქის მოსამსახურეთა თხოვნით შესდგა თავდაცვის რაზმი.

**კულმზეეს აღება**

მოსაზღვრე რაზმებმა იერიშით აიღეს კულმზეე. პოლონელების მხრით ბევრია მოკლული და დაჭრილი. გერმანელები არ დაზარალებულან. ქალაქში საალყო წესები გამოცხადდა.

**ლეიტ. როგალა**

ქ. ტურში იანვრის 22. პოლონელებმა კონდახის ცემით მოკლეს მოლაპარაკების დროს მე-14 ქვეითა პოლკის ლეიტენანტი როგალა, რომელიც როგორც პარლამენტიორი მათთან იყო გაგზავნილი. როგალა მძიმედ დაჭრილი შუბინის ლაზარეთში მიიყვანეს. მეორე დღეს ლაზარეთში მივიდა ერთი პოლონელი მეზღვაური, რომელმაც იკითხა, მოკვდა თუ არა ის ძაღლიო.

**პოლონელთა დევნა პოზნანში**

ამას წინათ პოზნანიდან ვარშავაში გაგზავნეს დეპეშა თითქოს პოლონელების მძევლებს ავიწროვებდენ. პარიზში ვარშავიდან სისტემატიურათ იგზავნება რადიო დეპეშები პოზნანში პოლონელების დევნის შესახებ. იანვრის 11 შუბინთან ბრძოლის შემდეგ ყველა ახალგაზრდა 14 წლიდან საქონლის ვაგონებით გაგზავნეს: ეს ახალგაზრდები დახოცეს. შუბინის აღების დროს გერმანელები თავზარდაცემულნი გარბოდენ და სჩანს ვერც მძევლების წაყვანას მოახერხებდენ. გერმანელებს ტანთ გახადეს, ყველაფერი წაართვეს და გასცარცვეს. პოლონელებმა წაიყვანეს 30 მძევალი და 200 საავიაციო რაზმის აფიცერი და ჯარისკაცი, რომელთაც მხეცურათ ეპყრობიან. მათ ჩაუცმელებს ამუშავებენ ყინვაში. პოლონელებმა კოლმარის სამხრეთით მდებარე ადგილები დაიპყრეს და თითო გერმანელს დღეში 6 მარკას ართმევენ, ტანისამოსს ართმევენ და პოზნანში გზავნიან. გერმანელთა ურმებს სცარცვავენ.

## ინგლისური პრესა.

**ედვარდ გილდენის მოხსენება ომზე.**

ინგლისის გამოჩენილ ფინანსისტმა სერ ედვარდ გილდენმა მოხსენება წაიკითხა იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოყვა ამ ომს ფინანსიური მხრით უმთავრეს მეომარ სახელმწიფოებში. ინგლისის ეროვნული ვალი 650.000,000 (გაურკვეველია) გაიზარდა. მომავალში სადემობილიზაციო ხარჯების დასაფარავად საჭირო გახდება 300 მილიონზე მეტი. სერ ედვარდ გილდენის გამოანგარიშებით შემოსავლის ყველა წყაროები რომ იქნას მხედველობაში მიღებული 7,400 მილიონი მაინც დარჩება. გერმანია შედარებით ცუდ მდგომარეობაშია: თუმცა ხარჯები დიდი არა აქვს, მაგრამ მოსალოდნელი არ არის, რომ მოკავშირეებმა ვალი გადაუხადონ. გერმანიის ეროვნული ვალი, რომელიც ომამდე 240 მილიონი იყო, ყველა ხარჯების გასტუმრების შემდეგ 800.000,000-მდე ავა. რაც შეეხება ამერიკას, რომელიც შედარებით გვიან ჩაერია ომში და რომლის ხარჯიც ომის გამო 200,000 მილიონს აღწევს. მოკავშირეთა მიერ ამერიკაში აღებულ სესხების განაღდების შემდეგ, მისი ვალი 2,600 მილიონამდე ავა. ომამდე ამერიკის ვალი 204 მილიონს არ აღემატებოდა.

**დემობილიზაცია.**

დემობილიზაციის გეგმას ისე სწრაფად ახორციელებენ, რომ გარდა ოფიცრებისა მილიონი ჯარის კაცი იქნება დათხოვნილი ამ თვის ბოლომდე. ამ მხრით ნაყოფიერი დღე იყო წარსული სამშაბათი, როდესაც დღეღამის განმავლობაში 3,8000 კაცი დაითხოვეს. ამ თვის ბოლოს 16000000 კაცი და დარჩება დასათხოვი. თუ მომავალშიაც ასე სწრაფად მოხდა დემობილიზაცია, მარტის ბოლოს მხოლოდ 90000 კაცისგან შემდგარი საოკუპაციო ჯარი და დარჩება.

**გერმანია და საზავო კონფერენცია.**

გაზეთ „დეილი-ნიუსი“ პარიზელი კორესპონდენტი სწერს, რომ მას უტყუარი ცნობები აქვს, თუ როგორი უკუღრებს გერმანია საზავო კონფერენციას. შეიდემანი იმ აზრისაა, რომ მოკავშირეების მიერ წამოყენებულ პირობათა ასრულება შეუძლებელია. გერმანია ხელს მოაწერს ზავს, მაგრამ იქავევე დაიწყებს პირობების ასრულების წინააღმდეგ გალაშქრებას. სხვა სახელმწიფოებთან შედარებით უფრო ადრე გერმანია აღადგენს წესიერებას. შეიდემანს იმედი აქვს, რომ პოლონელებთან და რუსებთან კეთილი განწყობილება დამყარდება.

**გერმანიის ახალშენები**

**ლონდონი.** იანვრის 31. საზავო კონფერენციის სხდომაზე ინგლისის იმპერიის სახელით შემოვიდა წინადადება, რომ ხალხთა ლიგამ რომელსამე სახელმწიფოს ჩააბაროს გერმანიის ყოფილ ახალშენების ადმინისტრაცია, შემუშავდეს ურთიერთშორის შეთანხმება გერმანიის ახალშენების და ოსმალეთის მცირე აზიის დაკავებულ ტერიტორიის შესახებ. ინგლისის ახალშენები და იაპონია მოითხოვს, რომ მათ მახლობლათ მყოფი გერმანიის ახალშენები მათ შეუერთონ.

**პარიზი.** იანვრის 31. ბელგიის სოციალ-დემოკრატიული პარტია და პროფესიონალური კავშირები კვლავ წინააღმდეგ არიან გაიგზავნოს დელეგატები საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე, რომელიც ორშაბათს ბერლინში უნდა გაიხსნას. ვალდერველდემ განაცხადა, რომ თუ პარტია მონაწილეობას არ მიიღებს კონფერენციაში, მაშინ მან თავი უნდა დაანებოს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს თავმჯდომარეობას და წინადადებას მისცემს კონფერენციას სხვა აირჩიოს მის მაგიერ.

სოციალისტების ბატონობამ მოშალა ფინანსიური მეურნეობა და საშინელი ცხოვრების სიძვირე გამოიწვია. მხოლოდ ეროვნულ დემოკრატიას შეუძლია საღი ფინანსიური პოლიტიკის წარმოება და ცხოვრების გაიაფება. მიეცით ხმა № 2.

## უცხოეთის ამბავი
### (ჟურნალ-გაზეთებიდან)

**კავკასი.**

კავკასიიდან ჩამოსულ პირებმა განაცხადეს, რომ თბილისის გაზეთებში მოთავსებული ცნობები ვითომც კავკავი ინგუშებს დაეჭიროთ—ტყუილია. მათი სიტყვით მდგომარეობა ასეთია: ქალაქი ჯერ-ჯერობით საბჭოთა მთავრობის ხელშია. თუმცა ყველა წევრნი ოლქის საბჭოთა მთავრობის უკან დაბრუნდნენ. შინაგან საქმეთა კომისარს დაეთმო სპეციალი მატარებელი, რომელსაც, როგორც ამბობენ საკმაო ფული წამოუღია. მატარებელი გროზნოს მიმართულებით გავიდა. კავკავში დარჩნენ მხოლოდ ზოგიერთი ადგილობრივ სოვდეპის მოღვაწენი, ქვთარაძე და სხვა.

საარჩევნო ბიულეტენი

ხმას ვაძლევ ეროვნულ-დემოკრატიულ სიას №

2

## სომხეთში.

**სომხეთის მინისტრების წამოსვლა.**

თბილისში ჩამოვიდნენ: სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე ა. საჰაკიანი და მინისტრები—იუსტიციის ს. არუთინოვი და ფინანსთა—ა. ენფიაჯიანცი. საჰაკიანის ჩამოსვლა დაკავშირებულია იმასთან რომ მას სურს მოელაპარაკოს ინგლისის მისიას შინაურ სასურსათო საკითხის შესახებ, არუთინოვს უნდა იუსტიციის სამინისტროსთვის შტატის შევსებისთვის მიიწვიოს მოსამსახურეები. ენფიაჯიანცი კი გამოარკვევს ფინანსიურ საკითხს საქართველოს და სომხეთის შორის.

**სახადის გავრცელება სომხეთის რესპუბლიკაში.**

შავი სახადით გარდაცვლილა გუმბრის ყოფილი ქალაქის თავი გ. კამსაოკიანი. ამ სახადის გავრცელების გამო ერევნის ყველა სასწავლებლები დაიკეტა. ყველა საშუალო სასწავლებლები ლაზარეთებად აქციეს.

**სომხები ადერბეიჯანის პარლამენტში.**

სომხეთა ეროვნულმა საბჭომ ბაქოში გადასწყვიტა, რომ შევიდეს ადერბეიჯანის პარლამენტში მხოლოდ მაშინ, როდესაც მთავრობა ყარაბახის საკითხს გადასწყვეტს.

**წითელი წიგნი.**

ცნობილ სომხეთის მწერალს გ. ჩალხუშიანს, რომელიც ცნობილია თავისი პროვოკაციული წერილებით საქართველოს შესახებ, საერთაშორისო კონგრესზედ წარსადგენათ ინგლისურ ენაზედ დაუბეჭდია „წითელი წიგნი“ სომხეთის შესახებ.

წიგნში აღწერილია ყველა ის უბედურებანი, რომელნიც სომხის ერს თავს დასტყდომია.

**სომხები და ყარსი**

თბილისში ჩამოსული სომხები, რომელნიც გუმრიდან გამოვიდნენ 25 იანვარს ამბობენ, რომ გუმრიდან ყარსში გაიგზავნენ დიდძალი ინგლისელთა და სომხების ჯარები.

## ადერბეიჯანში

**სომხეთ-ადერბეიჯ. დამოკიდებულება**

ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგი დეპეშა მოუვიდა:

„ჩვენ მიერ მიღებულ კერძო ცნობებით, ადერბეიჯანის მინისტრთა საბჭოს დაუდგენია, ჯევანშირისა და შუშის მაზრები, ადერბეიჯანის საგენერალ-გუბერნატორო დაამყაროს“.

ჩემი მთავრობის დავალებით, პროტესტს ვაცხადებ ხსენებულ დადგენილების წინააღმდეგ, რადგან იგი მიგვაჩნია სომხეთის ტერიტორიალურ უფლებათა შელახვათ.

## „თეატრის ნაციონალიზაცია“

ამ სათაურით გუშინდელ ჩვენი გაზეთის ნომერში ი. კარგარეთელის წერილი დაიბეჭდა. ავტორი საყურადღებო საკითხს ეხება.

მაგრამ სავსებით ჩვენ მას ვერ გავიზიარებთ.

უწინარეს ყოვლისა არ ვეთანხმებით მის „თეატრის ნაციონალიზაციის“ ფორმულას. ნაციონალიზაცია შეიძლება თეატრის ადმინისტრაციის და არა ოპერის ან დრამის! თეატრი არ არის რომელიმე ლეგალური დაწესებულება, რომ როდესაც-კი მოვისურვებთ შეგვეძლოს მისი გაქართულება, ეროვნულ ნიადაგზე დაყენება. გვიკვირს ბ-ნ კარგარეთელისაგან წამოყენებული ის საშუალება, რომლითაც შესაძლოდ მია-

37

ჩნია მას თეატრისთვის ეროვნული ელფერის მიცემა.

მაგ. ავტორი ლაპარაკობს ქართულ ოპერაზე და აღნიშნავს, რომ ოპერის შესაქმნელად საკმაოა რუს მომღერალ მსახიობთ გავაზეპირებინოთ ქართული სიტყვები და დასახელებული საქმე განხორციელდებაო.

„რუსის არტისტებს დიდი მუშაობა არ დასჭირდებათ ქართულ რეპერტუარის შესამუშავებლად და თუ აქამდისაც ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა ამისთვის, ეს მხოლოდ ჩვენს სინანულსა და მწუხარებას უნდა იწვევდეს და სხვა არაფერს“—სწერს ბ-ნი კარგარეთელი.

ჩვენი აზრით კი ასეთი ნაბიჯი სრულიადაც არავითარ სარგებლობას არ მოგვიტანს და ვერც შესაფერ ნაყოფს გამოიტანს.

„დემონის“ წარმოდგენამ დაგვარწმუნა, რომ სწორედ იმ საშუალებით, რა საშუალებითაც ბ-ნ კარგარეთელს მიაჩნია ქართული ოპერის შექმნა შეუძლებელი ყოფილა.

შეუძლებელია სწორედ ქართული ოპერის არსებობა იმ რუს მომღერალთა შემწეობით, რომელნიც ამ ჟამად სახელმწიფო თეატრში იმყოფებიან. სრულიად მოუხერხებელი და ყოვლად შეუძლებელია ქართული ენის არა მცოდნემ მუდამ სხვადასხვა ოპერებში რუსულად დაწერილი ქართული ტექსტი გაიზეპიროს და ისე იმღეროს ქართულად. ეს სიმღერა, ქართული კი არ იქნება არამედ ისევ რუსული, რუსული კილოთი და სიტყვების დამახინჯებითი სიმღერა, რომელიც მუდამ სიცილს თუ გამოიწვევს და სხვა არაფერს.

ასეთი ცდა უკვე დიდი ხანია იყო და ყოველთვის მარცხით გათავებულა იგი. ასეთი ცდა განმეორდა კვლავ „დემონში“ და მან ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ თუ ქართული ოპერის შექმნა გვინდა ჩვენ ამ გზით ვერ ვივლით. ძნელი ყოფილა არამც თუ რუს მომღერალთა მომზადება ქართულ ოპერისთვის, არამედ ძნელი ყოფილა თვით ქართველი ჩამომავლობით მსახიობთა მომზადებაც.

მიზეზი ის გახლავთ, რომ მათ რუსული სკოლა აქვთ გავლილი, რუსულ ენაზე შეუსწავლიათ პარტიტურები, რუსულ ენაზე შეუმუშავებიათ დიქცია და როდესაც ქართულ ენაზე მიდგა საქმე, მაშინ გამოირკვა რომ იგინი აქ უძლურნი ყოფილან და საჭიროა მათი ხმების გადახალისება. ესე იგი საჭიროა ქართული სკოლა.

მხოლოდ ქართული მუსიკალური სასწავლებელი, საოპერო სტუდია შესძლებს ქართველ მომღერლების გამოყვანას და როდესაც ნამდვილი ქართველი მომღერლები გვეყოლებიან—მაშინ ქართული ოპერაც გვექნება. უამისოდ, არამც თუ შულგინები, საბანიეევები, არამედ თვით ნეჟდანოვისამ და შალიაპინმაც რომ იმღერონ ქართულ ენაზე ჩვენ ამით ქართული ოპერა არ შეგვექმნება.

ჩვენ ვუსმენდით შულგინას, ინაშვილს და სარაჯიშვილის სიმღერას და მიუხედავად იმისა რომ იგინი ყველა ქართველნი არიან, ქართულად მაინც მეტად უძნელდებოდათ სიმღერა. თვით სარაჯიშვილს, რომელიც დახელოვნებულია და ქართულ კონცერტებში ქართულ რომანსებით აღტაცებაში მოუყვანია ჩვენი საზოგადოება, სინოდალის არიოზებს ვერა მღეროდა რიგიანად. არც ის ხმის ბგერა, არც ის მშვენიერი თავისუფალი სუნთქვა და დიქცია რომელიც რუსულ ოპერაში აქვს, ქართულად არა ჰქონია. ეს იმიტომ რომ მსახიობს ხმა დაყენებული აქვს რუსულ ენაზე და რეპერტუარიც რუსულზე აქვს გავლილი. ეს უტყუარი საბუთია იმისი რომ რუსი მომღერლები ქართულ ოპერისთვის ვერ გამოგვადგებიან და უნდა მოიძებნოს და შეიკრიფოს ის ქართველ მომღერალთა ძალები, რომელნიც ამ ჟამად სხვა და სხვა კუთხეებში არიან დაქსაქსულნი. მაგრამ ამ ძალების გაქართულება და ახალ მომღერალთა გაწვრთვნა უნდა დაჩქარებით მოხდეს.

ვიმეორებთ ეხლავე უნდა მივაქციოთ ყურადღება ქართულ საოპერო სტუდიის დაარსებას. რომ რომელ ახალგაზდასაც ხმა აღმოაჩნდება საშუალება ჰქონდეს მას სერიოზიულად განივითაროს და დაიყენოს იგი. სკოლა უნდა მშობლიური ნიადაგზე იდგეს და მხოლოდ მაშინ შეიქმნება ქართული ოპერა მშობლიურ ნიადაგზე აღმოცენებული.

ხელოვნება ბუნებრივი ევოლიუციით ვითარდება და ხანგრძლივი მუშაობით იღებს მხატვრულ სახეს.

ქართული ოპერა ჩვენი ერის აღორძინებაში აუცილებელია ისე როგორც ჰაერი. მეტია ლაპარაკი იმისი თუ რა დიდ როლს თამაშობს საერთოდ მუსიკა ადამიანის ცხოვრებაში. ხელოვნების დარგში მუსიკა ყველაზე უდიდესი დარგია და მისი აყვავება აღორძინება—ეს იქნება ჩვენი ესთეტიური გემოვნების განვითარებაც.

ვერც იმაში დავეთანხმებით ბ-5 კარგარეთელს რომ ქართული დრამა სახელმწიფო თეატრის კედლებში მოთავსდეს. ჩვენი დრამის აღორძინება, და მისი პერსპექტივები სულ სხვანაირად გვაქვს წარმოდგენილი.

ჩვენი სახელმწიფო თეატრის მოწყობილობა ძალიან შორს არის თანამედროვე დრამატიულ თეატრზე, რომელიც უკანასკნელ ტეხნიკურ ხელოვნების სიტყვაზედ უნდა იყოს აშენებული. სახელმწიფო თეატრის არც აკუსტიკა და არც რამპა-პროსცენიუმი არ არის დრამატიულ თეატრისთვის დანიშნული. იგი საოპერო თეატრისთვის არის გაკეთებული და აქ მხოლოდ ოპერებს უნდა ჰქონდეს ადგილი.

თანამედროვე დრამა კი უფრო ინტიმიურ, ინდივიდუალურ ფარგლებში მოთავსდება და იმედი იმისი, რომ ქართული დრამაც სახელმწიფო თეატრში მოთავსდება და ამით დაგვირგვინდება საქმე—ეს ვერ მოხერხდება.

ჩვენ ველით ქართულ ლატარიისაგან ქართულ ახალ სადრამო თეატრის აშენებას და ამის იმედიც გვაქვს.

ქართული ოპერა და დრამა! მათი განვითარება—ჩვენი უდიდეს კულტურონობის მაჩვენებელი იქნება.

ვ. გარრიკი.

## უკრაინაში

უკრაინიდან დაბრუნებულ ერთი სანდო პირი შემდეგს გადმოგვცემს დღევანდელი უკრაინის მდგომარეობის შესახებ:

**გეტმანის ხანა და გერმანელები**

მოგეხსენებათ, რომ რამოდენიმე თვას განმავლობაში უკრაინას განაგებდა გეტმანი სკოროპადსკი. სკოროპადსკის თანამდებობის მიღებაში დიდი როლი ითამაშეს გერმანელებმა და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ის პოლიტიკა, რომელსაც გერმანელები აწარმოებდენ უკრაინაში აუცილებლად მოითხოვდა რაიმე ახალი ორგანოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობდა გერმანელებს თავის მიზნების განხორციელებაში. დემოკრატიაში გერმანელები ვერ პოულობდენ მოძხრეებს. რეაქციონერებმა კი წამოაყენეს გეტმანი. გეტმანი საჭირო იყო გერმანელ იმპერიალისტებისათვის, რათა სანქცია მიეცა ყველა იმ შეუწყნარებელ საქმეებისათვის, რასაც გერმანელი ჯარის უფროსმა უკრაინაში სჩადიოდა. რეკვიზიცია, წართმევა, დაჭერა, ხშირათ სიკვდილით დასჯა და სხვა რეპრესიები, რომელიც თავს სცვიოდა უკრაინელ გლეხობას გერმანელი ჯარის მხრივ თანხმობას და დასტურს პოულობდა გეტმანის მთავრობისაგან.

**გლეხთა აჯანყებები**

გლეხებში, რასაკვირველია, ასეთმა პოლიტიკამ დიდი რეაქცია დაბადა და წინააღმდეგობა ხშირათ ხოცვაჟლეტით და დიდი ბრძოლებითაც თავდებოდა. მთელი უკრაინა დაიარა გლეხთა აჯანყების საშინელებამ, რომელმაც გერმანიის ჯარი დიდ საფრთხეში ჩააგდო. წინააღმდეგობამ უარესი წინააღმდეგობა გამოიწვია და გერმანიის სარდლობა ისეთ შეურიგებელ პოზიციაზე დადგა უკრაინელების მიმართ, რომ მოსალოდნელი იყო დიდი, საშინელი ამბები, მაგრამ სრულიად მოულოდნელად გერმანიის ბედი სხვა გვარად შეტრიალდა და საქმეშიც სხვა ძალა ჩაერია.

**მოკავშირენი და პეტლიურა**

მოკავშირეთა შემოსვლის შემდეგ საქმე სხვა გვარად დატრიალდა. გარდამავალ ხანაში შესდგა დირექტორია ვინიჩენკოს მონაწილეობით და აჯანყებულ გლეხობას და ჯარს სათავეში გენერალი პეტლიურა ჩაუდგა. ფართო დემოკრატიული მასები მას გაჰყვა და მის გარშემო თავი მოიყარა 300,000 ჯარისკაცმა. რომელიც მუდამ წამს საბრძოლველათაა გამზადებული. შემოსულ მოკავშირეთ ის არ ეპიტნავათ, მაგრამ, ფაქტის წინაშე დამდგარნი, ისინი იძულებული შეიქნენ პეტლიურა ეცნოთ, როგორც უკრაინის ძალთა ძლიერების წარმომადგენელი. თუმცა მალე მათ იმედები გაუცრუვდათ. საქმე იმაშია, რომ პე- [illegible]

საერთოთ დემოკრატიული ელემენტები გეტმანის რეაქციონურ მოღვაწეობის შემდეგ ძლიერ გადიხარენ მარცხნივ და ინგლისელებმა დაინახეს, რომ პეტლიურას სახით მათ იმავე ბოლშევიკებთან ჰქონდათ საქმე, მაგრამ გვიან იყო.

**დირექტორიის დაშლა**

მოკავშირეთა მოახლოვებამ აამოძრავა მთელი რეაქციონური მონარქისტული ელემენტები უკრაინაში. მათმა შემოსვლამ დაღი დაასვა თვით დირექტორიის მუშაობას და იმ დროს, როცა დირექტორიის ნაწილი მოკავშირეებისკენ იხრებოდა, მეორე ნაწილი ვინიჩენკოს თაოსნობით ბოლშევიკებს უწვდიდა ხელს. მოხდა განხეთქილება. დირექტორია დაირღვა. ხალხის უმეტესობა ვინიჩენკოს მხარეზე დარჩა. პეტლიურა და სხვანი იძულებული იყვნენ მიმალულიყვნენ, ხოლო ვინიჩენკომ გარს შემოიკრიბა მთელი ძალები, და საბჭოთა რუსეთთან გამართა მოლაპარაკება. რუსეთიდან სპეციალური მისიით ჩამოვიდენ უკრაინაში ჯუღაშვილი, ზინოვიევი და ევგენია ბოში. მოსალოდნელია, რომ უკრაინა აღიარებს საბჭოთა მთავრობის ძირითად მუხლებს ავტონომიურ ფარგლებში. ბოლშევიკური ჯარები შედიან კიევში და ამ გვარად უკრაინაზე კვლავ მეფდება ბოლშევიკური გვემონია.

**მოკავშირეთა მიზანი**

ასეთმა მოულოდნელმა საქმის შეტრიალებამ მოკავშირენი ძლიერ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. „ბოლშევიზმთან საბრძოლველად“ მოსულნი, ისინი ამ ფაქტორის განმაძლიერებელ იარაღად თითქმის გადიქცენ და შეუგუებელ პოლიტიკის მეოხებით მიზანს ვერ მიაღწიეს—ისინი ხან ფიქრობდენ დენიკინის ჯარის დაპყრობას, ხან გეტმანს ელოდენ, ხან პეტლიურას და ვინიჩენკოს, მაგრამ გაუბედაობამ მიზანს დააცილათ. ამ ჟამათ ისინი უკრაინის სამხედრო ნაწილში დიდ მზადებაში არიან. ზღვით მოაქვთ მრავალი იარაღი და სურსათი თავის ჯარისთვის. მათი მიზანია ალბათ საკუთარი ძალებით აწარმოონ ყოველივე ოპერაციები და ადგილობრივ ძალებს არ დაეყრდნონ. რა ძალას შეხვდებიან წინ ახალ, ბოლშევიკურ უკრაინაში, ამას მომავალი გვიჩვენებს. უსდა ვიფიქროთ კი, რომ ძალა მტკიცე იქნება, რადგან ბოლშევიკებმაც შექნეს მტკიცე ჯარი, შეიარაღებული და ჩაცმულ დახურული. გარდა ამისა ფეხზე დადგება მთელი უკრაინა.

**დამახასიათებელი ფაქტორი**

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ უკრაინამ ვერ გამოიჩინა თავისუფლების ხანაში ის ფხა, სახელმწიფოებრივი აპარატის საკუთარი ძალებით შექმნის ჟიში, რომლითაც შესძლებოდა, რომ აეცილებინა უცხო ძალების თარეში. მეოთხედ კია რომ იცვლება უკრაინაში პოლიტიკური რეჟიმი; ყოველივე მათგანი იწყება უცხო ძალთა ჩარევით, მისი შემწეობით, და ეცემა შინაგან უთანხმოებათა მეოხებით. უკანასკნელი ფაქტიც იმას გვიჩვენებს, რომ უკრაინაში ვერც ვინიჩენკოს მთავრობა შესძლებს გამაგრებას, რომ პოლიტიკური წონასწორობა ბალშევიკებს არ გაემართათ საერთოთ, როგორც ვხედავთ, არც ერთ ყოფილ რუსეთიდან მოწყვეტილ ტერიტორიაზე ჯერ არ არის ისეთი საკუთარი მტკიცე ხაზი, როგორც საქართველოში და გასაკვირალი არ არის, რომ ამ ბოლო დროს საქართველო იქ სახსენებელი შეიქნა, როგორც მაგალითი, როგორც „წინაკაცი“ რომლის ნაბიჯებს უკანა კაცი უნდა სთვლიდეს და სწონიდეს,

## ხონის ქ. არჩევნები

**ეროვნულ-დემოკრატიის და უპარტიოთა სია.**

## № 3.

1. მათე ვასილის ძე ბახტაძე, ექიმი (უპარტიო).
2. ილარიონ გაბრიელის ძე, ტოგონიძე, ქალაქის ექიმი (უპარტიო).
3. ილარიონ მოსეს ძე ჟღენტი, გიმნაზიის მასწავლებელი.
4. ლუკა დავითის ძე სანაძე, საურთიერთო ნდობის საზოგადოების დირექტორი.
5. არისტო დიმიტრის ძე აბაშიძე, ხონის მოქალაქე.
6. ნიკოლოზ დავითის ძე იაშვილი, გიმნაზიის მასწავლებელი.
7. მინა ივანეს ძე ჰავჰანიძე, ვაჭარი.
8. სილოვან პავლეს ძე ბახტაძე, ვაჭარი.

## რა უნდა იცოდეს ყოველმა ამომრჩეველმა

(ამონაწერი დამფუძნებელი კრების არჩევნების კანონიდან).

**საარჩევნო ბარათების მიცემა და დათვლა.**

53. ხმის მიცემა სწარმოებს საარჩევნო ბარათებით.

54. საარჩევნო ბარათები გარეგნობით ერთნაირი უნდა იყოს.

55. თვითეული საარჩევნო ბარათი უნდა შეიცავდეს ერთ-ერთ გამოცხადებულ საკანდიდატო სიას; ამ სიაში არავითარი ცვლილების შეტანა არ შეიძლება, არც ერთი კანდიდატის მეორის ადგილზე გადატანა. ბარათს უნდა ჰქონდეს ნუმერი საკანდიდატო სიისა და სახელწოდება ამ სიის წარმომადგენელი ორგანიზაციისა, თუ მას ორგანიზაციის სახელი აქვს დარქმეული.

56. კონვერტები საარჩევნო ბარათებისთვის უნდა იყოს ერთნაირი, არა გამჭვირვალი სუფთა და ზედ უნდა იყოს დასმული ბეჭედი ცენტრალური საარჩევნო კომისიისა.

57. საარჩევნო ბარათები და კონვერტები მზადდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით.

ყველა წარმოდგენილი საკანდიდატო სიებისთვის მზადდება თანასწორი რაოდენობა საარჩევნო ბარათებისა.

59. ბარათები და კონვერტები დამზადებისთანავე დაეგზავნება ცენტრალური კომისიის განკარგულებით მთავარ საქალაქო, სამაზრო და საოლქო კომისიებს.

61. მთავარი საქალაქო და სოფლის წვრილი საარჩევნო კომისია ვალდებულია დაურიგოს თვითეულ ამომრჩეველს არა უგვიანეს ორი დღისა არჩევნების დაწყებამდე თითო ცალი საარჩევნო ბარათი ყოველ გამოცხადებულ საკანდიდატო სიისა და სახელობითი მოწმობა ქალაქის ამომრჩევლებს.

იმას, ვისაც უფლება აქვს მიიღოს სახელობითი მოწმობა და საარჩევნო ბარათები, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია, მიეცემა: მოწმობა—ქალაქის მთავარ კომისიაში არჩევნების დღემდე, საარჩევნო ბარათები კი ქალაქის საუბნო საარჩევნო კომისიაში არჩევნების დღის.

62. საქალაქო და სოფლის საზოგადოების საარჩევნო კომისიები ამზადებენ პირ-ამოჭრილ საარჩევნო ყუთებს, საარჩევნო ბარათების ჩასაშვებად და უგზავნიან მათ მცირე საარჩევნო ერთეულებს.

64. თვითეულ საარჩევნო შენობაში უნდა იყოს ერთი, ან რამდენიმე მოფარებული ადგილი, რომ ამომრჩეველს, არჩევნების საიდუმლოების დაურღვევლად შეეძლოს ჩასდოს კონვერტში საარჩევნო ბარათი.

67. საარჩევნო შენობაში არ შეიშვებიან: 1) შეიარაღებულნი და 2) ისინი, ვისაც ცხადათ ეტყობა, რომ მთვრალია.

68. თავმჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების მიხედვით, თანხმად კომისიის დადგენილებისა, მოსთხოვოს სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებას გამოუგზავნონ მილიციელები, ან ჯარისკაცები.

მილიციელები და ჯარისკაცები სავსებით ემორჩილებიან თავმჯდომარეს და იმყოფებიან მხოლოდ მის განკარგულებაში.

69. თუ წეს-რიგი დაირღვა. ან თუ ვინმე კომისიის ან მისი თავმჯდომარის განკარგულებას არ დაემორჩილა, კომისიას შეუძლია დაადგინოს შეიყვანოს მილიციელები ან ჯარისკაცები შენობაში, სადაც არჩევნები სწარმოებს. თუ თავმჯდომარის მოთხოვნა არაა, ისე საარჩევნო შენობაში არავითარი შეიარაღებული ძალის შეყვანა არ შეიძლება.

71. საარჩევნო ბარათი ამომრჩეველმა თვითონ უნდა მიიტანოს და ჩააგდოს საარჩევნო ყუთში.

73. კონვერტს რომ მიიღებს ამომრჩეველი, მიდის მოფარებულ ადგილას და იქ ჩასდებს კონვერტში საარჩევნო ბარათს, დაბრუნდება საარჩევნო ყუთთან და გადასცემს დაბეჭდილ კონვერტს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც მის თვალწინ ჩააგდებს კონვერტს ყუთში.

76. ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებისამებრ დამზადებულ საარჩევნო ბარათებთან ერთად ნამდვილ ბარათებად ჩაითვლება ისინიც, რომელთა ტექსტი იმ ნაირივეა.

**შენიშვნა.** საპატიო შემთხვევაში საარჩევნო ბარათების მაგიერ შეიძლება ნამდვილად ჩაითვალოს სუფთა ქაღალდზე ხელით დაწერილი ან დაბეჭდილი შესაფერისი ნომერი.

77. ნამდვილად არ ჩაითვლება: 1) საარჩევნო ბარათი, რომელიც არ შეეფერება მე—54, 55, 56 მუხლებს; 2) ბარათი, რომელიც შეუვსებელია; 3) ბარათი, ხელმოწერილი ამომრჩევლის მიერ, ან ისეთი, რომელზედაც წაშლილია რამე, ან ამოფხეკილი ან ზედ რაიმე გამოსაცნობი ნიშანი აზის, ან თუ ისეთ კონვერტში დევს რომელთაც ასეთი ნიშნები აქვთ; 4) თუ კონვერტში ერთზე მეტი ბარათია და მათი შინაარსი ერთი და იგივე არაა. თუ ერთ კონვერტში რამოდენიმე ერთისა და იმავე შინაარსის ბარათია, ყველა ერთ ბარათად ჩაითვლება.

**არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის დაცვა.**

93. ვინც თავის ნებით მოაძრობს, ჩამოხევს, ზემოდან რასმე გადააფარებს ან შესცვლის საჯაროდ გამოფენილ საარჩევნო მოწოდებას, ცნობას ან სიას ამომრჩეველთა იმ ჯგუფებისას, რომელთაც საკანდიდატო სიები წარმოუდგენიათ, დაისჯება დატუსაღებით არა უმეტეს ერთის თვის ვადისა ან დაჯარიმებულ იქნება ფულით არა უმეტეს სამასი მანეთისა.

100. ვინც პიროვნებაზე ძალადობით, დასასჯელის наказуемый) მუქარითა, მოტყუილებით, ძალაუფლების ბოროტად მოხმარებით ან ეკონომიურის დამოკიდებულების საშუალებით ხელს შეუშლის საარჩევნო უფლების მქონეს თავისუფლად განახორციელოს ეს უფლება,—დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვდევით.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

101. ვინც ძალადობის საშუალებით, მუქარით, უწესოების მოხდენით, საარჩევნო სიების ან საარჩევნო ბარათების და ყუთების გაფუჭებით, ან საარჩევნო კომისიის წევრებზე ძალადობის ხმარებით ხელს შეუშლის არჩევნების წესიერად წარმოებას საარჩევნო კომისიის შენობაში,—დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით.

102. ვინც უწესოებით, დაშინებით ან მიმოსვლის საშუალების მოსპობით ხელს შეუშლის ამომრჩეველს ... გამოიყენოს საარჩევნო უფლ... დასჯილ იქნება გამასწორებელ ... ში ჩამწყვდევით არა უმეტეს ... წლის ვადისა.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ... დანაშაულის ჩადენისა.

104, ვინც ამომრჩეველს გა... რებს დაპირებით მისთვის ან ... ოჯახის წევრისთვის პირადის ... ნებრივის სარგებლობის მიცემი... უკანასკნელმა არ მიიღოს მონაწ... ბა დამფუძნებელ კრების არჩევ... —დაისჯება სატუსაღოში ჩამწ... ვით.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ... დანაშაულის ჩადენისა.

ასეთივე სასჯელით დაისჯება ... მრჩეველი, რომელსაც მოუთხოვნი... მიუღია პირადი რამ სარგებლობ... მუხლის პირველ ნაწილში აღნ... ლის მიზნით.

100. ვინც განზრახ დაამახი... ხმის მიცემის შედეგებს საარჩევნ... რათების ჩამორთმევისა, დათვლ... გამოქვეყნების დროს, ან და გ... გააფუჭებს, ან მოიტაცებს მ... საარჩევნო ბარათებს ან საარ... წარმოებას, ან სიყალბით ჩაუშ... საარჩევნო ბარათებს ან შე... საარჩევნო წარმოებას,—დაისჯებ... მასწორებელ სახლში ჩამწყვდევით ... უმეტეს სამის წლის ვადისა.

ამ დანაშაულის ჩადენის შ... დაისჯება.

108. ვინც, წინააღმდეგ კანო... გამოაშკარავებს ხმის მიცემის ... დუმლოებას დამფუძნებელი კ... არჩევნებში,—დაისჯება დატუსაღ...

190. წევრი საარჩევნო კომის... **ან სხვა თანამდებობის პირი**, ... ლიც განზრახ დაარღვევს დამფუ... ბელი კრების საარჩევნო დებუ... იმ მიზნით, რომ გავლენა მოახ... არჩევნების მსჯელობაზე ამა ... საკანდიდატო სიის სასარგებლოდ ... საზიანოდ, თუ ამისთვის უფრო ... ტიკი სასჯელი არ მოელის,—და... ბა დატუსაღებით.

რედაქტორი **გერონტი ქიქო...**


სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახოვისა

დღეს, 2 თებერვალს, დილით, შვამბერგის, იანსის, მოლჩანოვის და ნი... სკის მონაწილეობით:

რუსალკა

საღამოთი ინაშვილის ბენეფისი. შულგინას, ხორინას, სარაჯიშვილის, ... შვილის, ისეცკას, დემიანენკოს და კურბატოვის მონაწილეობით დადგმ... იქმნება ქართულ ენაზე:

დემონი

სამშაბათს, 4 თებერვალს, ტ. საბანეევას ბენეფისი მონაწილეობენ: სა... ევა, ზალიპსკი, ნიკოლსკი, ინაშვილი და ეზროვი—„მანონი“.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წ.

ერთადერთ სახელოვნო-სალიტერატურო-სათეატრო სურათებიან ჟურ...

თეატრი და ცხოვრება-ზე

წლიწადი მეშვიდე გამოცემისა

წლიურად—25 მან., ნახევარ წლით—15 მან. ხელის მოწერა მიიღება რე... ციაში: თბილისი, ბაზრის ქ. № 20, მეწიგნეების რიგზე, ალექსანდრეს ბ... პირდაპირ დილის 9 ს.—სადამოს 7 ს. ფოსტით: თბილისი, რედ. „თეატ... და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს. იქვე მიიღება შემოწირულება ჟურნა... ფონდის სასარგებლოდ.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილ...

5—101—

საქართველოს მამულიშვილნო!

ახლოვდება არჩევნები

დამფუძნებელ კრები...

და

თბილ. თვითმართველობისა

ყოველი ქართველი მამულიშვილი ვალდებულია მხურვალ... და შეგნებული მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.

ჩაეწერეთ სიებში, თუ გამოტოვებული ხართ.

დაიცავით არჩევნებში თქვენი უფლებები.

დაიცავით თავისუფლება და კანონიერება.

ექიმი

ნიკ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ. 25—2305

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

ალექსანდრე დავითის ...

ბაგრატიონი

იღებს კანისა, ვენერიულის და ს... ლისით ავადმყოფებს (914-ს და 60... შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღებ... ლის 10 საათ. 11 საათ. და საღამო... საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპე... № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპ... ტელეფონი 14—28.